




აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ● №11-12 (№201-202) ● ნოემბერი-დეკემბერი 2018 წელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გილოცავთ
ძობა-ახალ წელს!



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, მთელი კოლექტივი გილოცავთ დამდეგ შობასა და ახალ წელს. 2019 გარდამტეხი ცვლილებებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების წელი ყოფილიყოს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე ჩვენი ქალაქისათვის. ეკონომიკური ძლიერება და კეთილდღეობა მოეტანოს მას საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის.

ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

აქსუქა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით
რექტორი ვიორჯი ღავთაძე

ა წ ს უ - 8 5



2018 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ნოემბერში აწსუ-ში არაერთი საინტერესო ღონისძიება და შეხვედრა გაიმართა. პროფესორმა იმერი ბასილაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „განათლების ტაძარი - აწსუ-85“. სამეცნიერო ბიბლიოთეკამ დააჯილდოვა ყველაზე აქტიური მომხმარებელი სტუდენტები, მოაწყო ძველნაბეჭდი და უნიკალური წიგნების ახალი კოლექციის გამოფენა.

შთაბეჭდავი იყო აწსუ მედიცინის ფაკულტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის სააქტო

დარბაზში გამართული თვითშემოქმედების ინტერნაციონალური საღამო.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში უნივერსიტეტს არაერთი ქართველი და უცხოელი სტუდენტი ეწვია. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი დავითაძემ თურქეთის, საფრანგეთის, ლატვიის, ლიეტუვას, ირანისა და გერმანიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს უმასპინძლა. თურქეთიდან ქუთაისში ჩამოვიდა ართვინის უნივერსიტეტის პრორექტორი მურატ ქიბარი. უკრაინიდან: ზაპოროჟიეს ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი სერგეი ბიელიკოვი, ლუცკის ეროვნული ტექნიკური

უნივერსიტეტის წარმომადგენელი სერგეი შიმჩუკი, კიევის ვადიმ ჰეტმანის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის პრორექტორი ანატოლი კოლოტი, პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის რექტორი ალექსეი ნესტულია, კიევის ტექნოლოგიებისა და დიზაინის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი ივანე გრიშჩენკო. ასევე ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი პიერ კლუე, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი ირინა პილვერე, ლიეტუვადან კაუნასის ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტის რექტორი იოხან აუგუსტისი, გერმანი-

ის აკადემიური გაცვლის სამსახურის წარმომადგენელი. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიისა და უკრაინის ორ უნივერსიტეტთან, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ცენტრთან.

ახალ საბიბლიოთეკო კორპუსში, კაუნასის ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აწსუ რექტორმა გიორგი დავითაძემ გახსნა ლიეტუვას ენისა და კულტურის ცენტრი.

დასკვნითი საიუბილეო ღონისძიება ქუთაისის ლალო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ

თეატრში გაიმართა. უნივერსიტეტს 85 წლის იუბილე მიულოცეს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, იმერეთის გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ, ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გენადი მარგველაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შერვაშიძემ, კაკასიის უნივერსიტეტის რექტორმა კახაბერ შენგელიამ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ქუთაისის მისიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა ლელა ქეღბაქიანმა და პარტნიო-

რი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე განსახორციელებული რეფორმების იმ ძირითად ასპექტებზე ისაუბრა, რომლებიც ახლო მომავალში მათივე ჩართულობით განხორციელდება.

საიუბილეო ღონისძიებები აწსუ ფოლკლორული ანსამბლების „ადილასა“ და „კოლხას“ კონცერტით დასრულდა. მალე დღის სინათლეს იხილავს წიგნი „განათლების ტაძარი — აწსუ-85“, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების ისტორიასა და განვითარებას ეძღვნება.



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მიხეილ ბატიაშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია, მიმდინარე სასწავლო პროგრამებს გაეცნო და სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა.



30 ნოემბერს გაიმართა საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის "დიზაინისა და ტექნოლოგიის" დეპარტამენტის, ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული მოღვაწე პროფესორული პროგრამის, "დეკორატიულ-გამოყვანილობის

ქსოვილების სპეციალისტის" კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო ნამუშევრების გამოფენა. კურსდამთავრებულებმა წარმოადგინეს პროგრამის ფარგლებში შესწავლილი ტრიკოტაჟის, თექისა და ბატის ნამუშევრები.



2018 წლის 4 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურმა შეხვედრა გაართვა აწსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებთან. შეხვედრაზე განიხილეს უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესთან და სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე სტუდენტები გაეცნენ ომბუდსმენის საქმიანობასა და ფუნქცია-მოვალეობებს. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური ინტეგრაციის ხელშეწყობა.




პროფესორი ნუგუზა გაგნიძე ფრანგურად წიგნის ბაზრობაზე

ფრანგურად წიგნის ბაზრობა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი უცხოელი დამთავლიერებელი და მონაწილე ჰყავს. მრავალი ფურნალისტი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და მკითხველი თვალ-ყურს ადევნებს ფესტივალის მოვლენებს. ამ გრანდიოზული წიგნის დღესასწაულის ისტორიაში წელს პირველად საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგა. ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა წარმომადგენლებმა მსოფლიოს გააცნეს უნიკალური ქართული დამწერლობა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ლიტერატურა, კულტურა. გერმანული პრესა და მედია დაწვრილებით და საინტერესოდ აშუქებდა ფესტივალის თითოეულ დღეს.

ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის").

"*inführung in die Georgische Literatur des Kritischen Realismus*" დაწერა სპეციალურად ფრანგურად წიგნის ბაზრობისთვის და გამოიცა პოლონეთის უმხვილეს გამომცემლობაში - PWN (*Polish Scientific Publishers*). წიგნის ავტორები არიან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ნუგუზა გაგნიძე, ასოც. პროფ. ნათია ნასარიძე და ასოც. პროფ. ირინე შიშინაშვილი. რედაქტორი ნუგუზა გაგნიძე. პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით — განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

"*Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*" არის ნუგუზა გაგნიძისა და მარგრეტ შუხარდის ერთობლივი



ნაშრომი, რომელიც 2011 წელს გამოიცა გერმანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამომცემლობაში: "Shaker Verlag". იგი პირველი სამეცნიერო გერმანულენოვანი ნაშრომია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე და აქტუალობას არ კარგავს მასში წარმოდგენილი ლიტერატურულ-კრიტიკული საკითხების ღრმა მეცნიერული კვლევისა და იმ დოკუმენტების გამო, რომლებიც წიგნის დანართის სახით პირველად დაიბეჭდა.

პრეზენტაციაზე მყოფ უამრავ სტუმარს შორის იყვნენ ჰაიდელბერგის გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ საგანს „საქართველო“ და მათი მასწავლებლები (2006 წლიდან დღემდე ჰაიდელბერგის ელიზაბეთ ფონ თადუნის გიმნაზიასა და ქუთაისის პირველ საჯარო სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობის ხელმძღვანელია პროფ. ნუგუზა გაგნიძე), ასევე, ჰაიდელბერგის ანგლისტიკის სემინარის ყოფილი დირექტორი დოქტ. მარგრეტ შუხარდი.


ლოა ის ფაქტი, რომ საქართველოდან წარგზავნილ სტუმართა შორის საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ნუგუზა გაგნიძე. მან 13 ოქტომბერს პავილიონში Halle 4.2. ჩაატარა ორი წიგნის პრეზენტაცია: 1. "*inführung in die Georgische Literatur des Kritischen Realismus*" („ქართული კრიტიკული რეალიზმის მოკლე კურსი“. წიგნი წარმოდგენილია 15 ქართველი მწერალი. ნაშრომი გერმანულენოვან მკითხველს აცნობს თერგდალეულთა შემოქმედებასა და საქმიანობას. ციტირებისას გამოყენებულია ლექსები 80-იან წლებში გერმანულ ენაზე გამოცემული ქართველი პოეტების ანთოლოგიიდან). 2. *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen* („გრიგოლ რობაქიძე (1880-1962),

პროფესორ ნუგუზა გაგნიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა ვიკიპედიის გერმანულენოვანი განყოფილების წარმომადგენელთა ყურადღების სფეროში მოექცა, რომელთაც ფესტივალის დასრულებისთანავე მასზე ვრცელი ინფორმაცია განათავსეს გერმანულენოვან ვიკიპედიაში. ამ სტატიიდან ვიგებთ სასიამოვნო ფაქტს, რომ ნუგუზა გაგნიძის ორმა წიგნმა — "*Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*" და „გოეთეს რეცეფცია ნიცმეს შემოქმედებაში“ — მარბახის ლიტერატურულ არქივში დაილო ბინა.

ლელა ჩოგოვაძე

გ ა მ ო რ რ ე უ ლ ი

ახალი მონობრავია



სურათზე: ქ-ნი ნათია გოგიაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

გამიგონია, „ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო.“ სწორედაც რომ ასეა.

ქვეყანაში შექმნილმა დღევანდელმა მდგომარეობამ სადაზღვევო კომპანია „არდის“ კართან მიმიყვანა. სანდომიანმა ახალგაზრდა ქალბატონმა მიმასპინძლა. საოცრად გულითადი შეხვედრა, მომსახურების მაღალი დონე, საკითხის სიღრმისეული ცოდნა, მოქალაქის მდგომარეობის გულთან მიტანა...

მივხვდი, ამ ქალბატონს კარგად აქვს ათვისებული ზნეობრივი ნორმები და წესები და იცავს მათ, მაგრამ ეს დაცვა იძულებით ხასიათს არ ატარებს, ის ამ პიროვნების შინაგანი მოთხენილებაა და შეგნებულობის პრინციპით მოქმედებს. ეს კი, ჩემი ფიქრით, ადამიანთა ურთიერთობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და ასე მოხდა ამ ერთი კონკრეტული შემთხვევის დროსაც.

სერვისის უზომო კმაყოფილებითა და მაღლიერებით ვტოვებ ამ მოძირო ოთახს, სადაც ნამდვილად ვიგრძენი თავი ალა-

მიანად. მეც ხომ ასე მოვიქცეოდი, განა ოდესმე ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გამოიყენებია ჩემთან მოსულის გვერდით დადგომისათვის? აბა რა ხდება? რამ გამაკვირვა? ადამიანი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს, მე კი გაცეხას ვერ ვფარავ, — ვფიქრობდი გულში და დამშვიდობებასაც ვეღარ ვახერხებდი.

ალბათ, ამდენი კითხვის ნიშანი არ გამიხნდებოდა, ბევრი თუ არა, ცოტა მაინც რომ იქცეოდეს ისე, როგორც ნებისმიერი თანამდებობის პირს შეეფერება. რომ არ იცინა, ეს ცოტაა, არც ცდილობენ, რომ გაარკვიონ და ყოველს მომცველი, ამომწურავი პასუხით გაისტუმრონ მისული. ეს საკითხი წითელ ზოლად გასდევს ჩვენს დღევანდელ დღეს.

ვერ მოვიტოვებ და სახელი და გვარი შევეკითხე.

— მედიკოსი ნათია გოგიაშვილი, — იყო პასუხი. მეც თქვენი უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული, სამედიცინო ფაკულტეტის ჯანდაცვის სპეციალობაზე ვსწავლობდი. ამჟამად ჯანდაცვის მაგისტრი გახლავართ, — მორიდებულად ჩაილაპარაკა მან.

არ ვიცი, რა დამემართა. ერთი კია, მოულოდნელად სიმალეში გავიზარდე, თავი ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად ვიგრძენი, უდიდესი სიამაყის გრძობა დამეუფლა: ჩვენია, ჩვენი კადრია, ყოჩაღ, უნივერსიტეტი!!!

დმერთმა გვიმრავლოს ასეთი კურსდამთავრებულები.

ეს აღფრთოვანება და სიხარული უნივერსიტეტულ მეგობრებს გაეუწიარე. ჩემმა კოლეგებმა: **ეთერ ორმოცაძემ, მაგდა ჯიქიამ, ლელა ჩოგოვაძემ, მანონ გაბელაშვილმა და სხვებმა ჩემი მოსაზრებები განმმტკიცეს და ქ-ნი ნათიასადმი პატივისცემა დამიდასტურეს.**

ყველანი ერთად ქ-ნი ნათიას გულით ვულოცავთ დამდგვ ახალ წელს და უამრავ სიკეთესა და სიხარულს ვუსურვებთ.


იზოლდა რუსაძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერილი პროფესიული უნარების განვითარების (WSD) პროგრამის ფარგლებში კურსი „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი იმერეთის საჯარო სკოლებში ახორციელებს.

შემოდგომის სემესტრში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის WSD კურსები იმერეთის რეგიონის 6 სკოლაში განახორციელა: ქუთაისის ანდრია რაზმაძის ფიზიკა-მათემატიკის #41 საჯარო სკოლა, ქუთაისის #21 საჯარო სკოლა, ქუთაისის #31 საჯარო სკოლა, სოფ. როკითის საჯარო სკოლა, თერჯოლის #1 საჯარო სკოლა და წყალტუბოს მამუკა სამაკაშვილის სახელობის #2 საჯარო სკოლა.



კურსი „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა“ მიმართულია მოსწავლეებში განავითაროს ხელოვნური ინტელექტის დაფუძნებული უსაფრთხო შრომისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივირებას სწავლა განაგრძონ ინჟინერიისა და მონათესავე მიმართულებების პროფესიული ან უმაღლესი განათლების პროგრამაზე. აქტიური სასწავლო პროცესი თანამშრომლობითი სწავლება მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის წარმართა როგორც სკოლის სასწავლო სივრცეში, ასევე უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში. ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ლაბორატორიებში სტუდენტების ჩატარებულმა და ახსნილმა ექსპერიმენტებმა უდიდესი სტიმული მისცა მოსწავლეებს...



გამოიცა ნიკო ნიკოლაძის 165 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლის, ახალგაზრდა მკვლევრის გიგა ბასილაძის მონობრავია „ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია და მისი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში“.

ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ეროვნულად მოაზროვნეს, პუბლიცისტსა და ეროვნულ მოღვაწეს, უდავოდ განსაკუთრებული ადგილი უკავია XIX საუკუნის ქართველ მამულიშვილთა შორის. მის სახელს უკავშირდება საქართველოში უმნიშვნელოვანესი სამრეწველო-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელება. ნიკოლაძის თაოსნობით გაფართოვდა ტყეების ქვანახშირისა და ჭაბუკის მანგანუმის მოპოვება, ქუთაისის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. გამორჩეულად აქტიური იყო ნიკოლაძე აგრეთვე ქალაქ თბილისის სათათბიროს წევრობის პერიოდში (1878-1881 წწ). მისი ნოვატორულ იდეებს ქალაქის აღმშენებლობისა და განაშენიანების საქმეში დღესაც იყენებენ სპეციალისტები. ნ. ნიკოლაძის პრაქტიკული მოღვაწეობის მწვერვალს წარმოადგენს თითქმის ოცი წლის განმავლობაში ქ. ფოთის ქალაქისთავობა. მან ააშენა ფოთი და დაასრულა ნავსადგურის მშენებლობა, რომელიც დღეს უდიდეს როლს ასრულებს არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მას დიდ პატივს მიაგებდნენ არა მარტო იმ პერიოდის გამორჩეული ევროპელი თუ რუსი მოაზროვნეები, არამედ XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის მკვლევრებიც. საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ სათანადო ადგილი დაუთმო ბატონი ნიკოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლას, მაგრამ მისი მრავალმხრივი და საინტერესო პუბლიცისტური მოღვაწეობის სრულად და სწორად აღქმა არ მომხდარა. ისტორიულ მეცნიერებაზე კომუნისტური, ტოტალიტარული რეჟიმის ზეწოლამ ხელი შეუშალა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ნახრევის ობიექტურ შეფასებას. სწორედ ამიტომ ავტორმა შეისწავლა ნ. ნიკოლაძის XIX საუკუნის 70-80-იანი წლების პუბლი-

ცისტური მემკვიდრეობა, პუბლიცისტის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საარქივო მასალები, მოახდინა სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, რის საფუძველზეც მონობრავიაში წარმოაჩინა ნ. ნიკოლაძე, როგორც მოაზროვნე და პუბლიცისტი თავისი დადებითი მხარეებით, აჩვენა მისი წვლილი და ადგილი ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

გ. ბასილაძემ მონობრავიაში ახლებურად გააშუქა ნ. ნიკოლაძის ეროვნული კონცეფციის გამსაზღვრელი საკითხები: რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი მისი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება, ამ პოლიტიკის მანერ შედეგების გამოაშკარავება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ავტორმა წარმოაჩინა ნ. ნიკოლაძის პოზიცია თვითმმართველობის საკითხთან დაკავშირებით და შეაფასა დიდი ქართველი მოაზროვნის დამოკიდებულება თვითმმართველობის როლის და აუცილებლობის შესახებ, როგორც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობა.

მონობრავიაში ასევე შესწავლილია ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები და მისი მრავალმხრივი პუბლიცისტური მოღვაწეობა გაზეთ „დროებაში“, ჟურნალ „კრებულში“, გაზეთ „Обзор“-ში, ჟურნალ „Отечественные записки“-სა და გაზეთ „Новое Обозрение“-ში. ავტორმა შეძლო განესაზღვრა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის როლი, რაც იმჟამინდელი ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების საერთო ეროვნული პოზიციიდან გაშუქებაში გამოიხატებოდა.

გ. ბასილაძის მონობრავია მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯია, გადადგმული ნ. ნიკოლაძის ნააზრევისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. ვფიქრობთ, რომ მონობრავია მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიითა და პუბლიცისტით, ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

თამაზ ვოგებრაშვილი

მადონა ნიჟარაძე - 70



მადონა ნიჟარაძე 70 წლის არის...

რა თქმა უნდა, არ გჯერათ, არც თვითონ სჯერა... მაგრამ მართლა შეუსრულდა, მთელი მისი განვლილი გზა, როგორც თვითონ ამბობს, არის მრავალწახნაგოვანი, რთულიც და ლაღიც, საინტერესოც და ზოგჯერ უფერულიც, ძირითადად საინტერესო...

ქალბატონმა მადონამ ვერცხლის მედალზე დაამთავრა ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა. მიიღო იმპერიული განათლება. ერთი გამოცდით ჩაირიცხა ილია ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო უცხოურ ენათა ინსტიტუტში, გერმანული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ, ოჯახის ბიუჯეტის გათვალისწინებით, სწავლა გააგრძელა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1972 წელს. 2010 წლიდან არის ისტორიის აკადემიური დოქტორი.

მისი პირადი თვისებების, უნარ-შესაძლებლობების წყალობით იგი ხუთი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რასაც მაშინ კომკავშირული ორგანიზა-

ცია ერქვა. როგორც თვითონ ამბობს, იმ პერიოდში ამ პოზიციაზე მხოლოდ კარგის სწავლა და გაკეთება შეიძლებოდა. ის, ვინც ამას ბოროტად, სხვის საზიანოდ გამოყენების უნარს ამჟღავნებდა, დღევანდელ პირობებშიც ასეთი იქნებოდა...

მუშაობდა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ამავე პერიოდში იყო ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და ბიუროს წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქალაქო საბჭოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

1978-1987 წლებში ქალბატონი მადონა მუშაობდა ქალაქის აღმასრულებელ ორგანოებში: საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელად, განყოფილების გამგის მოადგილის უფლებამოსილებით, ლენინის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი. 1987-1988 წლებში „საქნახშირის“ გაერთიანების კონტროლისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

1989 წლიდან დღემდე მუშაობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში: სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე; სასწავლო ნაწილის უფროსი; სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსი.

მიღებული აქვს მუსიკალური განათლება და 1972 წლიდან სხვადასხვა სამუსიკო სასწავლებელში ასწავლიდა, ამავე პერიოდში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ჯერ ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქ-ნი მადონა ნიჟარაძე ყველა პოზიციაზე მიღებულ გამოცდილებას სრულყოფილად ახმარს

უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური განყოფილების ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფას.

მადონა ნიჟარაძის მუშაობის სტილისა და სიბეჯითის შედეგად განყოფილება ძირითადად კარგად ართმევს თავს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისათვის საჭირო მნიშვნელოვანი მიმართულებების პრაქტიკულ განხორციელებას. უშუალოდ მისი ინიციატივით აღდგა სააუდიტორიო მუშაობაზე კოლექტიური ურთიერთდასწრების ფორმა, რომელიც შემდგომში შეტანილ იქნა ავტორიზაციაზე წარსადგენ პრიორიტეტებში.

განყოფილებაში ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმართულებების მრავალი სახის ანალიზი. საჭიროდ ეთვლით ყურადღება შევაჩეროთ საქმიანობის მის სტილზე, რომელიც ხასიათდება დაკისრებული საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, რაც ცალკეულ შემთხვევაში დაბრუნებული ინერტულ პერსონას.

ამასთან, მას გააჩნია სასწავლო-მეთოდური განყოფილების ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფის სერიოზული პროგრამა, რომლის პრაქტიკული განხორციელების საშუალებას იძლევა თანამშრომელთა ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდა, რაც, იმედია, მომავალშიც გაგრძელდება.

როგორც თვითონ ამბობს, ქალბატონ მადონას შინ და და გარეთ ძალიან უმართლებს არჩევანში. სახლში რაინდული სულის მეუღლე ჰყავს, სამსახურში - განუმეორებელი ქართველი - პროფ. იმერ ბასილაძე, სახლში - მზრუნველი შვილები და შვილიშვილები, სამსახურში - საქმისადმი თავდადებული თემურ-ლუხუმი.

ვულოცავთ ქ-ნ მადონას ამ ბედნიერ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით და სიხარულით სავსე ცხოვრებას თავის დიდ, ლამაზ ოჯახთან ერთად.

კიდევ მრავალი წელი ასეთი შემართებით!

აწუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

მასწავლებელთა ალუბი უნივერსიტეტში

აწუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით 2018 წლის ნოემბერიდან ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტი „მასწავლებელთა კლუბი უნივერსიტეტში“. პროექტის ხელმძღვანელები არიან: ასოც. პროფ. ნატო ქობულაძე და აკად. დოქტორი შორენა ტყემალაძე. კლუბის მიზანია: სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობა ინტეგრირებული 300 კრედიტული პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის; კლუბის წევრებისა და მონაწილე პირების უწყვეტი განათლების ხელშეწყობა; სკოლებში საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის წარმატებული მაგალითების ურთიერთგაზიარება (სამოდულო გაკვეთილი, კვლევა, პროექტები...); სტუდენტთა ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელებაში თანამშრომლობა; საგანმანათლებლო სიახლეების გაცნობა; განათლების ექსპერტთა რეკომენდაციების გაზიარება;

ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნა-გამოქვეყნება.

მასწავლებელთა კლუბის სემინარები მიმდინარეობს ნოემბრის თვიდან თვეში 1-2-ჯერ შერჩეული პრიორიტეტული თემის საკითხებზე. მონაწილეებს მიეწოდებათ სემინარების გრაფიკი და ეცნობიან კლუბის სამოქმედო გეგმას.

კლუბში განხორციელდა 3 შეხვედრა შემდეგ თემატიკაზე:

1. „სწავლების სტრატეგიები“, ნათია ბრეგაძე, ეკა ძიგრაშვილი (#2 საჯარო სკოლა);
2. „შეფასება და ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება შეფასების პროცესში“, ნანა კაცაძე (#1 საჯარო სკოლა);
3. „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, შორენა ტყემალაძე (#23 სკოლა).

მასწავლებელთა კლუბი მასწავლებლებსა და ლექტორ-თანამ-

შრომლებს მისცემს შემდეგ შესაძლებლობებს: განათლების სფეროში წარმატებული მაგალითების გამოცდილების გაზიარებას; განიხილავენ მოსალოდნელ შედეგებს, რომლებსაც კლუბის საქმიანობა მოუტანს სასკოლო და საუნივერსიტეტო საზოგადოებას; სტუდენტთა ჩაშენებული პრაქტიკების წარმატებით განხორციელებას; შეიძენენ საკლასო და სასკოლო საჭიროების პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და ჩატარების გამოცდილებას; გამოიმუშავენ მკვლევარი პედაგოგისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; გაითვალისწინებენ განათლების ექსპერტების რეკომენდაციებს; გააანალიზებენ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს კლუბში მათ საქმიანობას; გაიცნობენ სხვადასხვა რეგიონის განათლების მკვლევარ სპეციალისტებსა და კლუბის სხვა წევრებს და ერთმანეთს შეხედულებებს გაუზიარებენ;

შეძლებენ საგანმანათლებლო ინიციატივებისა და აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას; შეძლებენ კლუბში მიღებული გამოცდილება ასახონ როგორც პედაგოგიურ პრაქტიკაში, ასევე სამეცნიერო საკონფერენციო თემატიკაში. პროექტის ხანგრძლივობაა 2018-2019 სასწავლო წელი.

მასწავლებელთა კლუბის დაარსება მნიშვნელოვანი პრეცედენტია უნივერსიტეტის სინამდვილეში, რომელიც ხელს შეუწყობს ლექტორ-მასწავლებელთა და სკოლის მასწავლებელთა ეფექტურ თანამშრომლობას განათლების სიტუაციაში არსებული გამოწვევების გაანალიზებასა და თანამშრომლობითი გზით საგანმანათლებლო პრობლემების ერთობლივ გადაჭრაში. კლუბში გაწვერიანება უფასოა და სემინარები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

სტუდენტთა წარმატება საერთაშორისო ჯონფარინციაზე

16-17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია „ქიმია დღეს და მომავალში“, რომელიც უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ქიმიური საზოგადოება. (საქართველოს ქიმიური საზოგადოების თავმჯდომარე, თსუ-ს ემერიტუს-პროფესორი ნოდარ ლეკიშვილი). თანაორგანიზატორები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ქიმიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით, რომელთა ავტორები და თანაავტორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (საქართველო, აშშ, რუსეთი, გერმანია, თურქეთი, იტალია, პოლონეთი, უნგრეთი, ესპანეთი, ავსტრალია, პაკისტანი)

სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები იყვნენ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქიმიის დარგის ცნობილი მეცნიერები, მონაწილეებს მიესალმა თსუ-ს რექტორი, პროფესორი გიორგი შარვაშიძე. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს „ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა: ქრისტინე კვიციანი და ნელი ახალიაძე, „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა ანი ფუტყარაძემ და „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა ანდრო მუმლაძემ, რომლებიც კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაჯილდოვდნენ დიპლომებით „საუკეთესო მოხსენებისათვის“. საქართველოს ქიმიური საზოგადოების საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ინგა ბოჭოიძე, წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისთვის.



წერილი მასწავლებელს



არასდროს არაფერი გიხარია, უდიდესი დამოღობი ცხოვრობ. მხოლოდ შენთვის. ირგვლივ კი ვერაფერს ხედავ. შეიძლება ადამიანი რეაგირების გარეშე, მიკვირს. ასე შემომჩიოდნენ ოჯახის წევრები, მაშინაც კი, როდესაც ხედავდნენ, ჩემს მწერალ მღვდომარეობას და იცით, ამ დროს გონებაში გეძებდით მასწავლებელს და ვფიქრობდი, როგორ შეგძლოდა ყველა მოსწავლის ტვინში გეგმეტილათ, უარყოფითი მხარეები კუთხეში მიგეყარათ და ყველაფერი ტვინის ერთ მეოთხედში, მხოლოდ დადებით ფაზად გეგმეტილათ. ხანდახან ვცილობდი ჩემს მეცადონს, როგორ იყო ამ გზის გაგება, თუმცა, როცა დედაჩემს ან სხვა ოჯახის წევრებს დავუწვევებდი ცქერას, მივბოდი თვალის გარსში და ბევრ აბლაბუდას ვაწვდებოდი ირგვლივ. მივხვდი, რომ ვერასდროს შევძლებდი თქვენსავით მეცქერა, ან თუნდაც მეხარისხებინა კარგი და ცუდი. იქნებ ვინ იცის, შესაძლოა მეც გამომსვლოდა, მაგრამ სადღაც გავბოდი. არადა, რომ დაფიქრდეს კაცი, რა რთულია უცქირა იმ ადამიანებს, ვინც ასე ახლობელია შენთვის. კარგი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ვშიშობდი. რამდენი რამ შეიძლება თქვა მასწავლებელს, რამდენი რამის გაანალიზება უხდება ამ პატარა ტვინს. რაღაც რომ დატრილდება ქარიშხლის მსგავსი. უცნაურია ყველაფრის შემდეგ ახლით სვლა. მიკვირს. თუმცა, არ შე-

მიძლია საკუთარ თავს ერთხელ მაინც შევხედო სარკეში და სადღაც ვიპოვო იმ შეშინებული გოგოს სახე, ოდესღაც რომ იმალებოდა ჩემში. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ცხოვრების რკალი ასე მარტივად გადაწვდებოდა ახალ სივრცეს. ახლა კი ვხვდები, რომ ყველაფერი დასაშვებია, დასაშვებია. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ყველაფრის მიუხედავად, რა სასიამოვნოა ნიუ-იორკის წვიმიან ქუჩებში ხეტიალი და მოგონებები. განსაკუთრებით ვისხენებ თქვენს სიტყვებს, რომლებსაც საკლასო ოთახსა თუ მეგობრულ შეხვედრებზე ყოველთვის გაახსენებდით, თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, ახლა ვხვდები, რომ მეც შემიძლია რაღაც ჩემული. ყველაფერთან ერთად ისიც მინდა რომ გითხრათ, აქამდე მოსასვლელი გზა არც თუ ისე მარტივი იყო. დრო ძალიან ძალიან მიჰქრის, ახლა დარწმუნებული ვარ ამ წერილს რომ კითხულობთ, თქვენს გონებაში ბავშვობიდან დღემდე ჩემს სილუეტს ხედავთ. რამდენი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი და ვინ იცის, რამდენი რამის თქმაც კი დამიგვიანდა. ბევრი შეცდომაც თან მოჰყვა ჩემს აქ ყოფნას, ვიცოცხლე მალაიან გმლუთ, რადგან თქვენ ყოველთვის გვირჩევდით ორ გზას, ერთი, რომელიც შეცდომამდე მხოლოდ გონების შემოვლით არ დაიშვება და გზა მეორე, რომელიც შეცდომის შემდეგ ვითარდება, ისიც მახსოვს, რომ მეორე გზა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ყოველთვის ამბობდით, რომ არასწორად დაშვებულ საქციელზე სასიარულო გზა უფრო მოსახერხებელი იყო, რადგან გრძობდით ყველა ნაბიჯის გადადგმის შედეგად განვლილ ტკივილს, იცით, მართალი ხართ, ზოგჯერ ტკივილი უზარმაზარ ძალას წარმოქმნის, თუნდაც ჩემს შემთხვევაში ჩემულმა მე-მ რომ იფეთქა, ალბათ ასეთს ოდესღაც წარმოიდგენდით. ქუჩაში, სადღაც უამრავი ადამიანი ირევა, მეც მათ რიგს რომ ვუერთდები, სადღაც მთელი ძალით მივექანები, როგორც ნიუ-იორკს ჩვევია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ძალიან მაგარია იყო თავისუფალი. თქვენ წარმოიდგენდით, მე და ბოიფრენდი. საინტერესო იყო ფლირტი. ბევრი რამ ვისწავლე ამ ურთიერთობით, შეცდომებიც კი ვუშვი, თუმცა დიდად მასწავლებელი. ალბათ, სასაცილოც ვჩანდი. გულწრფელად მინდა გითხრა, რომ მეშინია ღამის. იცით,

როდესაც საკუთარ თავთან ვრჩები, საკუთარი ლანი მაშინებს, ვისხენებ ურთიერთობას და ვხვდები, რომ სადღაც ავციდი. იცით, ვერ ვიტყვი, რომ ეს სიყვარულის მსგავსი იყო, ეს სიყვარული იყო, თუმცა ვერ შევძელი. გაგიკვირდებოდა, რომ მე ვერ შევძელი. გარდასახვა სხვაგვარი იყო ჩემში, მიძნელებოდა მაშაქაცსა და ქაღალის გააზრება. თითქოსდა იმ ქალებს ვგავდი, ყოველდღიური რუტინით რომ იკმაყოფილებენ თავს. ალბათ ეს ერთი ფერის ხაზი იყო, რომ შლიდა საძირკველს ჩვენში. იცით, მახსენდებოდა კითხვის დროს როგორ ვკრებოდა ქალების ჩემულ ვერსიებს, შემდეგ წარმოვიდგენდი, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც იფეთქებდა ჩემში. არც კი ვიცი რამდენად სწორად ვქმნი ჩემი ცხოვრების ხაზს, მაგრამ თქვენ იცით, რომ მე მხოლოდ ჩემი შინაგანი ხმის მესმის. იცით, რომ მე შეუძლებლად მიმაჩნია ვიყო ყველას მსგავსი, ახლა ვიცი, რომ მეტყობდით, მაგიტომ ვიყავი ასეთი გაურკვეველი გარსით. ჰო, მასწავლებელი მე ვერ შევძელი, მაგრამ თქვენ ვიცი, რომ ამა-საც შევძლებდი. ალბათ წერილის კითხვის დროს გრძობთ ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებას, ისიც ვიცი, რომ თქვენ ადამიანი ხართ და შეცდომების დაშვების უფლებაც გაქვთ, ალბათ, ასეცაა, რადგან შეუძლებელია ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით. ხანდახან გოგოსტ გოგონას ვგავარ. იცით ურთიერთობის დროსაც კი ვეგოისტობდი, მხოლოდ ერთი პრინციპი მქონდა, მხოლოდ ჩემთვის. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ მაიფიქრებოდა სხვა ადამიანის არსებობა ჩემ გვერდით, თითქოსდა ჩვენ ორნი მხოლოდ ერთ ადამიანს ვქმნიდით, წარმოვიდგენით ადამიანს რომელსაც საკუთარი მე გააჩნია, საკუთარი ხედავ, მიხვები და მისწრაფებები აქვს, მე ვცდილობდი შევჭრილიყავი მასში და ნამცეცხვად მექცია მისი გონების თითოეული წარმონაქმნი. ალბათ, ვაჭარბებდი და სულელ პატარა გოგონას ვგავდი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გესმით ჩემი, თქვენ ხომ ყოველთვის გვიხსნიდით, რომ ყველაფერს აქვს ახსნა, რის გამოც შესაძლოა ადამიანი იყოს თუნდაც ჩემი მსგავსი. ხშირად ეს ვგოიხში მის მიმართ სიძულვილს იწვევდა ჩემში, ხანდახან ისიც კი მემართებოდა, რომ მეშინოდა მისი. ფაქტია, რომ გზააბნეულ ადამიანს ვემსგავსებოდი, აღარაფერი რომ ღირდა

მის გვერდით. გავბოდი და მხოლოდ გაქცევაში ვგრძობდი შეგებას, ალბათ, ეს იყო ჩემთვის გამოსავალი. თუმცა ისიც შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც მიჭირს, ყოველთვის მივბოდი. ვიცი, რომ თქვენ ეს არასდროს მოგწონდათ, მაგრამ წარმოიდგინეთ ამ შემთხვევაში ჩემი თავი. მხოლოდ ერთხელ შევძელი მეგობრული თავისუფლება და ამ დროს ადამიანი იჭრება ჩემში ძლიერი გრძობით, ჩემი გონების უმეტეს ნაწილს იპყრობს, სამყაროს ახლებურ ხედვას მასწავლის, ადამიანების მიმართ სხვაგვარ დამოკიდებულებას მაჩვენებს და მხოლოდ ერთი ადამიანის მიმართ მხდის განსაკუთრებულს. წარმოვიდგინეთ ჩემში გარდასახვა ხდება, მანაც ხომ შეძლო ეს თავდაპირველად ასეთი სახით, ის ცდილობდა და მოახერხა კიდევ მე მხოლოდ მის გარშემო ვყოფილიყავი, თუმცა დროთა განმავლობაში მე ვერ შევძელი ვყოფილიყავი მისეული და მანაც ვერ შეძლო ჩემული მეს გათავისება. მე ვცდილობდი ყოფილიყო მხოლოდ ჩემი, სამყაროც კი ეჭვიანი წარმომედგინა, საოცარ ხატებას ვქმნიდი მის ადამიანობაში, თითქოსდა მხატვარს ვგავდი, რომელიც ნახატს ქმნიდა, სწორედ რომ აქ მეშვებოდა, ნახატს კი არა, ადამიანს ვქმნიდი. მე მის თავდაპირველ მეს ვეძებდი, ვეძებდი, ჰო, ვეძებდი და ვიდაც სხვას ვპოულობდი. დამეთანხმებით მასწავლებელი, რომ ადამიანისთვის ძნელია ყველაფრის განადგურება ასე ერთი ხელის მოხმით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ რთული გზა გავიარე საკუთარი თავის პოვნაში, ახლა კი ვერ მივცემდი ჩემს თავს უფლებას ისევ სხვა არსებულ ვეცდებოდა ვეცდებოდა ვეცდებოდა. წარმოვიდგინეთ გრძობა-მაც ჩაიარა, მე კი ისევ ისეთად ვრჩები. ალბათ ოდესღაც შევძლებ წვრილმანებით საუბარს თქვენთან, თბილ ოთახში. დარწმუნებული ვარ ახლა შორიდანაც კი მიღიმით, ცხელ ჩაის პაუზებით წრუპავთ და გულში ხეხემით. შესაძლოა ბევრი რამ შეგეცვალათ ჩემში, თუმცა თქვენ ეს ისედაც შეძელით.

თქვენი გოგონა განსხვავებული გარსით, ნიუ-იორკიდან გოცნით.

ანა შვანგირაძე
ქართული ლიტერატურის
სპეციალისტის მაგისტრანტი



ნინო ქიტარიძე

სულის სარკე

ერთ ულამაზეს სოფელში ცხოვრობდა ძალიან საყვარელი გოგონა, სახელად ანიტა. გოგონა ძალიან ჭკვიანი და მშრომელი იყო, მას სახლში მოხუცი ბებოს გარდა არაფერი ჰყავდა. მართალია, ანიტა სიღარიბეში ცხოვრობდა და ხშირად ლუკმა პურიც უნატრია, მაგრამ სულიერად მდიდარი იყო და ყველა პრობლემას თავის თამამად უსწორებდა. ანიტას მეზობლად ცხოვრობდა საკმაოდ ამაღლებული და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ანამარია.

ზოგჯერ რომ შეამჩნევდა ანიტას უჭირდა, მოვიდოდა: ძვირფასი, ფული თუ, გინდათ არ მოგერიდოს, აუცილებლად მოგცემ.

ანიტა თავს დახრიდა და ეტყოდა: ყველაფერი გვაქვს, რაც კი სულისთვისაა საჭირო.

ანამარიას გაეღიმიოდა: იტყვი ისეთს, კაცს სიცილით მოკლავ.

გოგონას ყოველ საღამოს პატარა სარკე ეკავა ხელში. ერთ მშვენიერ დღეს ცნობისმოყვარე ანამარიამ გადაწყვიტა, რომ სტუმრად მისულიყო მეზობელთან.

-კარზე კაკუნია შვილო...
-ახლავე ბებია...
-ანამარია! შენ ხარ? შემოდი...
კარგად შეათვალიერა...
-შეხედე გოგო! კაბაზე ლაქა გაქვს! მოიშორე! ცოტა გაიწიე, რომ გამატარო.
-ამ ლაქას არ მოვიშორებ!
-რატომ? ზიზღის თვალებით...
-შეხედე, ეს ლაქა არაფერია! მთავარია, რომ სულს და გულს არ ეტყობოდეს ლაქა!
-რას მიუღიანებ? გამატარე!
კარებს მოშორდა...
-დმერთო, აქ რა სიბინძურეა...
რა სუნია?
ანიტას შერცხვა და თავი დაბლა დახარა.

-გარეთ ვმუშაობდი და...
შეაწვევტინა
-რა? არ გიბანავია?
ოფლის სუნია...
-ვერ მოვასწარი...
ბებია უნდა ამეყენებინა...
-დმერთო, ახლა მისმინე.
იცო რატომ მოვედი?
-არა...
-საიდან მოიტანე სარკე?
-რა სარკე?
-ფანჯრიდან ვხედავ, სულ ხელში გაქვს...

ოქროს სარკეა?
-რაა? ხისგან არის დამზადებული...
დედაჩემმა მისახსოვრა...
-რაა? ამის გამო მოვედი აქ? გამატარე!
გარეთ გავიდა...
ცნობისმოყვარე ადამიანს ვერაფერი მოასვენებს იქამდე, სანამ არ გაარკვევს მის ირგვლივ რა ხდება. ანამარია ვერ ის-

ვენებდა, უნდოდა სარკე ხელში ჩაეგდო და დარწმუნებულიყო, რომ ოქროსგან დამზადებული არ არის. შემოფოთებულმა საუბარი დაიწყო საკუთარ თავთან.

-ნეტა, სარკე როგორ ჩაეგდო ხელში? აჯობებს ვთხოვო, არა, მე ჩემს თავს ვერ ვაკადრებ ამას. რატომ ვერ ვისვენებ? რატომ?

უპასუხო შეკითხვებმა შეაწუხა. ანიტა, როგორც ყოველთვის, შრომაში იყო გართული და არც ერთ წუთს არ კარგავდა უმოქმედოდ. გოგონა სულიერად ამაღლებული და საკმაოდ განათლებული იყო, სიღარიბის მიუხედავად.

ერთ დღეს სოფელში გაიმართა ზეიმი, სადაც ყველა იყო დაპატიჟებული. ანამარიამ შენიშნა ანიტა, რომელიც ბავშვებს ორცხობილას აწვდიდა და გაეცინა.

-შენთვის არაფერი გაქვს და სხვას აჭმევ? სულ გამოშტერდი?

-ეპპ... მეზობლები, რადგან არ იცი რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა.

-აბა მე ვინ ვარ?
-უსულო სხეული!
-რაა? ვინ არის უსულო? უამრავი ფული მაქვს...

-შენ, საერთოდ თუ იცი რაა სული?
-ვიცი!

-გეტყობა...
შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს...

-სად წაიღე შენი სარკე?
-რატომ დაინტერესდი?
ჯავიდან ამოიღო...

-დმერთო, რა არის მომეცი! უნდა ვნახო აქაც კი მოიტანა, რაა ასეთი?
ხელიდან გამოგლიჯა.

-მართლა ხის ყოფილა...
-ხომ გითხარი?

-რა არის ამ სარკეში, ასეთი განსაკუთრებული?
-ვერ მიხვდები!

-რატომ?
გაჩუქდა...

მიღი და მითხარი, რატომაა ეს სარკე ასეთი მნიშვნელოვანი?

-გაინტერესებს?
ეს ჩემი "სულის სარკეა"

გაეცინა...
-რა სასაცილოა...

-რა არის სასაცილო?
-სულს სარკე როგორ ექნება? სული არ არსებობს!

-მარტო ამის შემდეგ აღარ აქვს შენთან საუბარს აზრი!

-რატომ? გეხუმრე...

უხერხულად იგრძნო თავი...
-კარგი! გარგი! არ მინდა შენისთანა უსულგული ადამიანთან საუბარი!

-რა?
-შეუგნებელი ხარ!

-სულის სარკეში რაა, სული უნდა ნახო?

-სანამ მე სულის სარკე მაქვს, არასდროს შევიცვლები! სული უკვდავია და ადამიანმა სულიერ საზრდოზე უნდა იზრუნოს, რომ უკვდავყოს თავი. მე დღეს ჩემი ორცხობილები სხვას დავურიგე, თუმცა თავად მიჭირდა. იცი რატომ მოვიქეცი ასე? ვიცი, რომ სიკეთე არ დაიკარგება და ამ ორცხობილებს მე მარტო მაინც ვერ მოვერუდი. ახლა ბავშვები გავახარე და მეც ბედნიერი ვარ.

-როდემდე?
-სიკვდილამდე..

ანიტას სიკეთე არ დაიკარგა და ნიჭი, რომელსაც მალავდა გამოადგა. გოგონა გახდა ცნობილი მხატვარი და თავი ყველას გააცნო. ანამარიამ კი ყველაფერი დაკარგა, რაც გააჩნდა და თავი ანიტას სახლს შეაფარა, სადაც აღარავინ ცხოვრობდა. გოგონა საზღვარგარეთ გადავიდა და უხარმახარ სახლში, საპატიო ადგილი დაუთმო "სულის სარკეს", რომელმაც დიდი ბედნიერება მოუტანა. რაც მთავარია, მას არ ავიწყდებოდა სარკეში ჩახედვა და იმის დანახვა, თუ ვინ იყო.



გიორგი კანელიძე

იგლოვებს პოეტს საყვარელი ქალი?!

(გუძღვნი ნანა გუბელაძეს)

შაკვებს ჩაიცმევთ ჩემს დაკრძალვაზე? ჩემს პანაშვილზე მოხვალთ ცრემლებით?

მე, სიყვარულის ამ აკრძალვაზე უარს ვამბობ და ფოთოლცვენივით აღსავსე შემოდგომას მოვყვები, როგორც მოკვება დილა შხის სხივებს.

დამიტირებენ ალბათ მოყვრები. თქვენ დაინახავთ უშორეს სიმებს... გაგახსენდებით ზამთრის დღეებში?

როცა ფიფქები დათოვლავს მიწას... თვალს მომადევნებთ იმ თეთრ ფერებში? და მიღწეულად ჩამითვლით მიზანს?

გაგახსენდებით ყოველ გაზაფხულს? როს არემარეს სუნი აქვს კვირტის... როცა სოფლებში ყანებს გადახვულს შეხვდავს გლეხი და ლოცვას იტყვის.

გაგახსენდებით ზაფხულის თვეში? როს შხის ნათება იქცევა გლოვად... როცა ზეციდან წამოვა თქემი და შეერგება მიწას მირონად.

გარდავიცვლები თქვენზე ოცნებით... ბოლო წუთებში წვეთსაც არ დაველე. მომიგონებენ, ვიცი, მგოსნები და ჩემს დიდებულ ძეგლსაც დადგამენ..

ამაღლების შარავზა

ნუთუ მართლა არსებობს? ნუთუ მართლა მოგველის?.. იმიერი ცხოვრება, სულის უკვდავებისა... მოკვდავობა ხორციელ, არსად მარად მყოფელის...

სრული თავისუფლება თუ როდესმე გვედრისა.

მიზნისაკენ მივდივართ, ყოველი დღე ბრძოლაა...

იქეთ, სამოთხიდან კი, ჩვენ გვეძახის ადამი.

დილის გათენება ზომ საოცარი გრძნობაა...

არ გვიყვარდეს სიცოცხლე, - არ ვიქნებით მართალნი!

არ არსებობს შედეგი... ეს ცხოვრება ომია...

ყოველი დღის ღამობა - შთაგონებით გამოთბარი.

წავალ ხეტიალით და დედამიწას მოვიარ...

არ ვადილოთ სიკვდილი, - არ ვიქნებით მართალნი!

უნდა გავცდეთ პორიზონტს, წარმოსახვა გვიბიძგებს.

აღარც მელანქოლიამ მოგვიცვას და დაგვთრგუნოს.

მორჩილი ემოციით უთიესტომო გული ძეგრს...

მოაზროვნე არსება დმერთის ნაცვლად სხვას უხმობს...

უხმობს გონების სიღრმეს, ამოუცნობ სამყაროს,

ესთეტიკურად აღქმულ კეთილსაც და ბოროტსაც.

ცლილობს, ასე მარტივად, სული სხეულს გაყაროს და დაადგეს ზეცისკენ ამაღლების შარავზას.

თანამედროვე ათეისტი

ზის გაყინულ ოთახში და თვალებით ეძებს. გრძნობს, რომ იესოს გარეშე ერთი წამიც ვერ ძლებს.

უნდა სიბო, მაგრამ იცის - სიბო ახშობს ენერჯიას...

როგორ ჩუმად გახრწნის მირცკვილის - სენტიმენტურ ელკვიად.

მოსწონს ჯაზი, ხიბლავს კინო, უყვარს სექსი... პიანინო.

მისგან ვნახავთ სულის გვემას, ხორციელი ჭარბობს მასში.

როცა კოკაინს იფოსავს, მაშინ გადის ნამდვილ ტრანსში.

სძულს მორწმუნე ქრისტიანი, მუსლიმი და ებრაელი.

ფილოსოფოსი არ დაგვეცინის, უფრო მეტად - ვებრალებით.

ასე ცხოვრობს, ასე მშვიდად, ათეისტის ნიღაბს ირგებს.

არც ბიბლიას გადაშლის და არც ძველებზე ფილოსოფოსს.

თუ აქამდე იყო მარტო, სიკვდილის წინ იწყებს ლოცვას და ღმერთს შესთხოვს განუშარტოს წმინდა სულის გარდამოსვლა.

სარცეცხლზე მიჯაჭვული ამოთქმის ბოლო სიტყვებს: „მეშინია, მეშინია!

ნუთუ მართლა უნდა მოგვედე?..“ კვდება, თითქოს არც ეცხოვროს, შიშით, უსაზრისო ლეშად...

ნეკროლოგსაც დაწერს ვინმე, - ახლობლების სანუგეშოდ.

ზის გაყინულ ოთახში და თვალებით ეძებს. გრძნობს, რომ იესოს გარეშე ერთი წამიც ვერ ძლებს.

არსებობის კანონზომიერება

გუძღვნი გამოჩენიულ შრომისმოყვარე და მიზანსწრაფულ მწერალს ავთანდილ ნიკოლეიშვილს და ვულოცავ 70 წლის იუბილეს!

მიდის დღენი, დროს მივეყვებით დინებით და თანდათან ბუნებასაც ვეცნობით.

გვასხოს ჩვენი მისაბაძი გმირები... გავურბივართ, გავურბივართ. ენობრივ სისტემასაც ვაყალიბებთ ცდის შემდეგ, მხოლოდ იყოს შემართება სულისა,

სამყაროსთან ზიარების ამბოხი, პომეროხი მუხლმოყრილი ჯოისთან.

მხოლოდ იყოს ჭკურტა დეკალისტის, მხოლოდ იყოს სკვატიკოსის ვნებანი... მატურია გამთიფრულია მისთვის.

აზროვნება ჩერდება და ვნებდება. მიდის დღენი, უბადრუკი რიცხვებით.

ვაზიც დავრგეთ... გამოისხა მტკვანი. შემდეგ?!.. შემდეგ ისევ გარდავიცვლებით, როგორც, ერთ დროს, დავიბადეთ ყველანი.

ვინა ხარ, ადამიანო?

ვინა ხარ, ადამიანო?! მოვლენილი ხარ ცოდან...

იქნებ ფიქრებით მივაგნო და სული გახდეს წმინდა.

შენი არსების მადლია მშვენიერება სრული... ქვეყნად ნამცვეციც არ გდია, რომ არ ჩაბერო სული.

ადამიანო, ვინ მოგცა განუზომელი გონი?!

მე შენს შემოქმედს ვერ ვლოცავ, ამის არა მაქვს ღონი.

ქარი გუგუნებს უზომში, მთვარე ანათებს ნისლეტს...

შენს შთაგონებას ფრთებს რომ შლი, სიცოცხლე წამით გივსებს.

ბობქრობს დროთა ტალღები, მივეყვებით, არვინ არ რჩება...

მეც, დრო მოვა და გაექვრები, კითხვა კი კვლავაც დარჩება.

„ლატარიის რისხვა“

მხატვრული ნარკვევი (იბეჭდება შემოკლებით)

გაზეთი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რედაქცია, სტატიის ავტორი და ნარკვევის პერსონაჟი – მედიცინის დოქტორი, ექიმი, იურისტი, ქიმიკ-ბიოლოგი, ქორეოგრაფი, მედიცინისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ასოცირებული პროფესორი, ქ-ნი მაგდასა ჯიქია უნივერსიტეტის კოლექტივს, როგორც ლექტორებს, განურჩევლად თანამშრომელსა, ცენტრისა, ასაკისა, დიდსა და პატარას, ასევე ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს, სულითა და გულით ულოცავენ დამღვე ახალ წელს და უსურვებენ რკინისებრ ჯანმრთელობას, უღვე სიხარულს და ისეთ მოგებებს, როგორებიც ამ სტატიისა დასახელებული.

ისევე როგორც დღეს, XX საუკუნის ბოლო პერიოდსა და მომდევნო წლებშიც საქართველოში სხვადასხვა ლატარია თამაშდებოდა. ქ-ნი მაგდა იგონებს: „ბებოსა და დედას ჩემი ბავშვობის დროს ლატარიის გათამაშებაში მაცივარი ჰქონდათ მოგებული. ერთხელ ქ. ქუთაისში, განკეთების ერთ-ერთ ჯიხურში ახალ შურნალთან ერთად მე და ბებიაჩემმა შევიძინეთ „დოსააფის“ ლატარიის ორი ბილეთი, რომელიც ცოტა ხანში უნდა

ბედი. „ლატარია ყველასათვის“, „ბედის ბორბალი“, „თორმეტი სკამი“, „ქართული ლოტო“, „ოქროს გასაღები“, „ფორტუნა“, „ლატარია ქალებისათვის“, „საუკუნის ლატარია“, „საოჯახო ლოტო“ – აი, ლატარიების ჩამონათვალი, რომლებშიც მონაწილეობდა. ის წინასწარ, ლატარიის გათამაშებამდე, გრძობდა, რომ თამაშის შემთხვევაში აუცილებლად მოიგებდა. ამ განწყობას ხელი შეუწყო სიხარულს, რომელიც ქ-ნი მაგდამ ასე

უმეტესობა უკვე ცნობდა ლატარიაში მოგებულ ავტოს. სხვა მანქანები ჩემსაა გზას უთმობდა, მძღოლები თავიანთი ავტომობილებიდანვე მოსალოც სიტყვებს მუძახდნენ. როცა ქუთაისისკენ მოვიდით, ინსპექტორები ღიმილით გვაჩერებდნენ და ჩვენს მანქანას გზას ულოცავდნენ.

კიდევ მეტი სიხარული ქუთაისში მელოდა, ჩემს ქალაქში. როცა აქ ჩამოვედით, კოკისპირულად წვიმდა. ჩემს სახლთან მთელი უბანი დამხვდა თავმოყრილი: ნაცნობები და უცნობები, მოხუცები და ახალგაზრდები, ბავშვები, ჩემი მეგობრები, მეზობლები, ყველა მე მელოდა. ისინი გარეთ, წვიმაში, იცდიდნენ. ქუთაისში მე ჩემი ნათესავებიანად გვიან ჩამოვედი. იყო გულმხურვალი მოლოცვები, ხევენა-კონცა, კეთილი სურვილები. მთელ დამეს და არც მეორე დღეს ტელეფონი არ შეჩერებულა, მოსალოცად წკრიალებდა და წკრიალებდა. ვინც ჩემი ახლობლებიდან ვერ დამიკავშირდა, თურმე ერთმანეთს ურეკავდნენ და ჩემი წარმატების შესახებ საუბრობდნენ“.

იმ დღესაც და მთელი კვირის განმავლობაშიც შემდგომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეისვა ქ-ნი მაგდას სადღეგრძელო. ყველა ამ მოგებაზე ლაპარაკობდა.

ამის შემდეგ მოხდა სასწაული: მეორეჯერ კვლავ მოხვდა გასამარჯვებელთა შეიდეულში. ახლა უკვე ტელეფონი მოიგო.

ავტომანქანა „აუდის“ გარდა, გათამაშებაში „ლატარია ყველასათვის“ მოგებული აქვს 1405 ლარი, საოჯახო – სამხარეული „კომბაინი“, სარეცხი მანქანა, მუსიკალური ცენტრი, ქვაბების კომპლექტი, ტელევიზორი, რამდენჯერმე 100 და 50 ლარი, მტვერსასრუტი, ფოტოაპარატი, ელექტროლუმენი.

„საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ ლატარიის წამყვანს, გაა ჯოხაძეს (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მთარგმნელი, პოეტი). ის გახლავთ უადრესად განათლებული, ენაკვიმატი და საოცრად თავდაჭერილი პიროვნება. ასეთად გავიცანი ის ლატარიის გათამაშების დროს.

ბ-ნი გაა ხშირად ხმარობდა გამოთქმებს: „ყველაზე იბღლიანი“, „ახარტული მოთამაშე“, „დამარცხებული“. ეს მე ვიყავი. როცა სარეცხი მანქანა მოვიგე და გამომიძახეს, ბ-ნმა ჯოხაძემ იქვე აღნიშნა, ჩვენ შენ სარეცხი მანქანისთვის არ გვემეტებო. მომდევნო თამაშზე კი ღიმილნარევი ხმით აღნიშნა: მაგდა ჯიქიამ ერთი მე ვერ წამიყვანა აქედან, თორემ სხვა ყველაფერი გააყოლა ხელსო. ერთ-ერთი თამაშის დაწყების წინ კი მაყურებელს გააგებინა, რომ სტუდიაში შესული იყო „ლატარიის რისხვა“ – მაგდა ჯიქია. მას ჩვენ მზითვეი სრულად შეგუვსეთ, ახლა მისგან ქორწილში დაპატიჟებას ველოდებითო.

გამოჩენილი მსახიობები და ტელეწამყვანები უძღვებოდნენ წლების მადილზე ლატარიის გათამაშებებს. ერთ-ერთი მათგანი

ლოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ქორეოგრაფიის რაინდი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება გივი სიხარულიძე. ბ-ნი გივი ახალგაზრდობაში სუხიშვილებთან ცეკვავდა. მან ლოტოს გათამაშების დროს ცეკვის კონკურსი გამოაცხადა. ამ გათამაშებას ესწრებოდნენ ქუთაისელებიც, რომლებმაც კარგად იცოდნენ ქ-ნი მაგდას ცეკვის შესახებ და სთხოვეს, რომ კონკურსში მიელო მონაწილეობა. მართლაც ამ დიდ ხელოვანთან ერთად მან შესანიშნავად იცეკვა და საჩუქარიც დაიმსახურა.

არც ლატარია „თორმეტი სკამს“ უღალატია მაგდასთვის. ეს ლატარია ქუთაისში გათამაშდა. აქ მან პირველმა მოიპოვა სკამზე დაჯდომის უფლება. სკამში 900 ლარი აღმოჩნდა. სხვა დროს კი 200 ბილეთი, ტელეფონი და 100 ლარი მოიგო.



სურათზე: გათამაშების წამყვანი, ბ-ნი გაა ჯოხაძე და ქ-ნი მაგდა ჯიქია. ქ-ნი მაგდამ მოიგო სარეცხი მანქანა.

ცნობილი მსახიობი და კომენტატორი ნუგზარ ჯუღელი იყო.

როცა პარალელურად „ტოტო ლოტოში“ დაიწყო თამაში, პირველივე ცდაზე ბედის ბორბალი ვიდუოკამერაზე გაჩერდა. გარდა ამისა, აქ მოვიგე: უთო, ელექტროლუმენი, ამოვიცანი 6-42-დან 5 ციფრი, საღაც მოგების თანხა 312 ლარი იყო“.

„ტოტო ლოტოს“ შეუდარებელი წამყვანი იყო საქართვე-

ქ-ნი მაგდას მოგების შემთხვევაში ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი ალექსანდრე ტორიჭაძე, რომელსაც მაკყავდა გადაცემა „თორმეტი სკამი“, ძალიან ხმაძალდა აცხადებდა: „ეს არის ცნობილი მაგდა ჯიქია, ჩვენი ქალაქის საყვარელი გოგო“.

ლატარია „ფორტუნას“ წამყვანი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის უსაყვარლესი მსახიობი ბორის წიფურია, როცა მასთან ქ-ნი მაგდამ ოქროს ველსაბაში და მუსიკალური ცენტრი მოიგო, სიხარულს ვერ მალავდა და ეკითხებოდა: „ისევე შენ? ისევე შენ?“

„ლატარიაში“ ოქროს გასაღები“ ტელევიზორი მოვიგე. ეს მერამდენე ტელევიზორი იყო, კვლავ დავიტოვალე. „ქართულ ლოტოში“ კი, რომლის წამყვანები მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრის გამოჩენილი მსახიობები: ნინელი ჭანკვეტაძე და გაა როინიშვილი იყვნენ, სამჯერ მოვიგე მტვერსასრუტი. მოგებულმა მაქვს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება და ლატარიის ბილეთების კომპლექტები. რაც



სურათზე: გაზეთი „ლატარია ყველასათვის“ საქართველოს აუწყებს ქ-ნი მაგდას მოგებას.

გათამაშებულ იყო. რატომღაც დაგვაიწვიდა და კარგა ხნის განმავლობაში არ შეგვიძლია შეხება. ერთ ბედნიერ დღეს, როდესაც ბაზრიდან სახლში ვბრუნდებით, ბილეთების გათამაშება გადავწყვიტეთ. მივედი ფოსტაში, რომელიც ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის უკან საერთო ბინის პირველ სართულზე მდებარეობდა. ბებო იქვე, სკამზე, დაჯავიანე. მე კედელზე გამოკრულ ლატარიის გათამაშების ცხრილს ბილეთების ნომრები შევუდარე. შევხედე, ბილეთზე დაწერილი ნომერი და ცხრილის ციფრი ერთმანეთს დაემთხვა. რამდენჯერმე გადავამოწმე, არ შემშლოდა. თვალს არ დავუჯერე, მოგებაში ავტომობილი ვოლგა „გაზ 24-10“ რომ ამოვიკითხე. ვერ მოვიითმინე და ბებოს მივმართე:

– ბებო, ბებო, „ავტომობილი 24“ მოვიგე-მეთქი. ბებო ცუდად გახდა. სიხარულისა და განცდისაგან ვტიროდი.

ეს იყო ჩემი და ბებოს პირველი ზიარი მოგება“.

გაიხსენა: „ძილში თეთრებში გამოწყობილი წვეროსანი მამაკაცი გამომეცხადა, ხელში ეჭირა ლამაზად შეფუთული დიდი ყუთი, რომელიც მე გადმიმწავლა და წავიდა. ამ დღის შემდეგ ძალიან მალე ჩემი მოგებები დაიწყო“. ერთ-ერთი გათამაშების დროს, ბედად, ქ-ნი მაგდა იმ ხალხის შეიდეულში მოხვდა, რომელთაც აუცილებლად რაღაც უნდა მოეგოთ. „ჩამოატარეს ტომარა. დაიწყეს გახსნა. ვგრძობობდი, რაღაც ხდებოდა ჩემში, ხელები მიკანკალებდა და აღარ მემორჩილებოდა. ხალხი მივივიროდა: „გახსენი, გოგონა“, „ავტომანქანა შენია“, „გახსენი, მაგდა“. ჩემ გვერდით მდგომი ადამიანი დამეხმარა და, როგორც იქნა, გავხსენი კოლოფი. აღმოჩნდა ავტომანქანა „აუდი 100“. ესეც მოგებული მეორე მანქანა“, – გვიყვება ჩვენი რესპონდენტი, მაგრამ უფრო სასწაულები თურმე ქ-ნი მაგდას ამის შემდეგ ელოდა. ეს მამან მან არ იცოდა. „დაიწყო მოლოცვები. მომცეს გასაღები და ჩემი მოგებული ავტო სიგნალებით გამოაცოლა ხალხმა. როცა ავტომანქანით ქუჩაში გავედი, ადამიანთა



სურათზე: გაზეთი „ლატარია ყველასათვის“ ქ-ნი მაგდას შესახებ.

დასასრული მე-9 გვ.

„ ლ ა ტ ა რ ი ი ს რ ი ს ხ ე ჯ ა ”

დასაწყისი მე-8 გვ.



სურათზე: ქ-ნი მაგდა ჯიქია და „ტოტო-ლოტოს“ წამყვანი ბ-ნი გივი სიხარულიძე.

შეეხება „კოკა-კოლას“ გათამაშებას, იმ პერიოდში ბოთლის თავსახურებში იყო ჩაწერილი მომგები ნომრები. ჩემთვის კი მეორე თუ არა, ყოველი მესამე ბოთლი მაინც იყო წარმატების მომტანი.

ხშირად უთქვამთ ჩემთვის ლატარიის ორგანიზატორებს, ალბათ, შენს დანახვასზე ჟრუანტელი უვლითო. მართლაც ასე იყო. თუ ლატარიის ერთი გათამაშებიდან მეორეში გადავინაცვლებდი, მეკითხებოდნენ, ახლა იმით მიაღდექი დასაქცევადო?”

1998 წელს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (#41) წერდა: „თუ ვინმეზე შეიძლება ეს ითქვას, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ქუთაისელი მაგდა ჯიქია გახლავთ. თითქმის არ დარჩენილა პრინცი, ამ ქალიშვილს ლატარიის გათამაშებაში რომ არ მოეგოს. ყველაფერი კი ასე ხდება: ჩამოდის ქუთაისიდან ეს მომხიბვლელი ქალიშვილი, „დააწიოკებს“ აქაურობას და მიაქვს და მიაქვს, თუ რაიმეა მოსაგები. აავსო ქუთაისი თბილისიდან წაღებული ქონებით“.

1998 წლის 4 აპრილს გაზეთი

„ლატარია ყველასათვის“ იუმორნარევი კილოთი მიმართავდა საცოლეს მამაკაცებს: „უცოლო მამაკაცებო! თქვენდა საბედნიეროდ, ქ-ნი მაგდა ჯერჯერობით გასათხოვარია. მზითევში „აუღის“ გარდა აქვს ლატარიის წყალობით მოგებული ბევრი სხვა ნივთი. ძვირფასო მამაკაცებო! სიღუჭჭირის დღეებამდე პირობებში ასეთი ქალები არც თუ ისე ხშირია!“

ხალხის გამოთქმით, მაგდა ხან იღბლის „ბუკეტი“ იყო, ხან „შეუდარებელი“, „ლეგენდარული“, „ყველაზე პოპულარული“ და „ლატარიის დედოფალიც“ კი. ქ-ნი მაგდას მოგებების გამო ლატარიას სახელიც კი შეუცვალეს და „ლატარია მაგდასათვის“ დაარქვეს. სულ ბოლოს „მაგდა ყველა ლატარიისათვის“ დაერქვა ლატარიის ყველა გათამაშებას ერთად. ზოგი ანეკდოტებსაც თხზავდა მის იღბალზე (ის ქულებდით დაბადებულია. მშობლებს მაგდას ბედის ქუდი აკვანზე პქონდათ ჩამოკიდებული, ახლა კი მას თვით მაგდა ინახავს). მის იღბალში დარწმუნებულები, ნიძღავსაც დებდნენ

მაგდას მოგებაზე. ხალხი ამბობდა, რომ საქართველოში ახალი ქართული მრავალსერიანი ფილმი გადის. ამ ფილმს „ლატარია მაგდასათვის“ ეწოდებოდა.

მასხენდება ქართული მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“. როგორ იბახიან ბავშვები „ბაში-აჩუკი“-ო და ათითებენ ბაში-აჩუკს. როცა ქუჩაში მოზარდები ქ-ნი მაგდას დაინახავდნენ, ებახდნენ, ზოგი კიდევ უახლოვებოდა და აჩერდებოდა.

ლატარიამ ერთბაშად გახადა პოპულარული. ქუჩაში ბევრი ცნობდა და აჩერებდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ქალი იყო თუ კაცი და ულოცავდნენ, საჩუქრებს აწვდიდნენ, გულით სურდათ მისი გაცნობა და დაახლოება. „არ დამეწყება, თბილისში, ბახარში, როგორ მიატოვა მაგდა ბანანის გამოყვანილი ახალგაზრდა ბიჭმა, დამეწია და რამდენიმე ბანანი სიხარულით გამომიწოდა. არ მინდოდა გამორთმევა, მაგრამ მივხვდი, ამას ისეთი გულით აკეთებდა, ჩემგან წინააღმდეგობა მისთვის მტკივნეული იქნებოდაო, – მოიგონა ძველი ამბავი ჩემმა რესპონდენტმა და განაგრძო, – ადრე ამბობდნენ, მაგდას კარგი ფეხები აქვსო. მერე ამბობდნენ, მაგდას კარგი ფეხი და ხელი აქვსო, მაგრამ ბოლოს თქვეს, მაგდას აქვს ყველაზე კარგი გული, რომელიც ტელეეკრანზე არ ჩანსო.“

ერთხელ რეალიზატორთან ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომელი ქალბატონი მისულა ლატარიის ბილეთის შესაძენად. გვარი შეეკითხეს თურმე. ქალის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, გვარი რა შუაშიაო. ბილეთების გამოყვანილს იქვე უთქვამს, თუ ჯიქია არა ხარ, ყიფას აზრი არა აქვსო. ე. ი. რატომ უნდა შეიძინო, მაინც ვერ მოიგებო. პასუხი ასეთი იყო: „ჯიქია არა, მაგრამ ერთ შენობაში ვმუშაობთ და იქნება...“

ერთი უცნაური ჩვევა აღმოვაჩინე ჩემში: თუ სტუდიაში შესვლისას ვინმეს თვალს დავადგამდი, ის ადამიანი აუცილებლად რაღაცას მოიგებდა.

როდესაც ავტომანქანა მოვიგე, მეორე ტირაჟზე ახალგაზრდა მოვიდა და მთხოვა, მაგდა, ხელი დამაღე და მოგება მისურვე, იქნებ მეც შენსავით გამომართლოსო. ხელიც დავადევი და დავლოცე კიდევ და, თქვენ წარმიდგინეთ, მართლაც ასე მოხდა, იმ დღეს ავტომანქანის მფლობელი გახდა ჩემი დალოცვილი ახალგაზრდა, თბილისელი რამაზ ანდიაშვილი.

„ტოტო ლოტოს“ თამაში იწყებოდა. შესასვლელთან ხალხი ირეოდა. ჩემ უკან იდგა კაცი, რომელმაც წინა თამაშზე მაცივარი მოიგო. რა თქმა უნდა, ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და მე ვუთხარი, რომ ის იმ თამაშზე ვიდეოკამერას მოიგებდა. ნახეთ სასწაული, როცა მისი ნომერი მბრუნავ დოლურაზე (რომელშიც ყოიან ლატარიის ბილეთების ნომრებს გასათამაშებლად) ამოვიდა და ბედის ბორბალთან მივიდა, ბორბალი მართლაც ვიდეოკამერასთან გა-



სურათზე: გაზეთის მიმართვა საქართველოს უცოლო მამაკაცებს.

ჩერდა. მამაკაცი გაკვირვებული დარჩა არა მოგებით, არამედ – ჩემი წინასწარმეტყველებით.

ქუჩაში თვალს მომკრავდა თუ არა, ხალხი მთხოვდა, რომ მათთვის ბილეთები შემიძინა. მე მერიადებოდა, ვცდილობდი, უარი არ მეთქვა. რეალიზატორები კი ხუმრობდნენ, ჩვენ ცოტა ხანში საჭირო არ ვიქნებითო. ზოგ ადამიანს ძალიან უნდოდა, ხელით შემეხებოდა, ზოგიც ჩემს ახლოს დგებოდა. მალახიამი შესულს, მთხოვდნენ, რაიმე გამეხინჯა და მალე ვიდიდნენ. როცა სამარშრუტო ტაქსთან მივიდოდი, ქუთაის-თბილისის მარშრუტი სწრაფად ივსებოდა. თავისი ხუმრობით ცნობილი, უნივერსიტეტის აწ გარდაცვლილი თანამშრომელი, ვანო მატარაძე, რომელიც ჩემთან მეგობრობდა, რამდენიმეჯერ თბილისში შემხვდა. მან მითხრა: არაფერი დაგჩვენა, ყველაფერი მოიგე, ახლა ჩვენც მოგვხედო.

არასოდეს მინატრია ფულის მოგება, ერთხელ, – ეს გია ჯონაძემაც აღნიშნა, – როცა რომე-

ლილაც ნივთი მოვიგე, შემეძლო, თანხა ამელო, მე კი ხელი იმ ნივთს მოვკიდე, რაც მერგო და წამყვანმა ეს იქვე დააფიქსირა. ყველა მოგების შემდეგ ვცდილობდი, სხვების მიმართ ყურადღება გამომეჩინა.

ჩემი ნატურა არასოდეს სიმდიდრე და ფული არ ყოფილა, ეს ყველაფერი ღვთის საჩუქარი იყო. არც არასოდეს სურვილი არ მქონია, რომელიმე სხვა თამაშში ჩავბმულიყავი. უბრალოდ, ინტერესი იყო, აბა, სანამდე მივიდოდა ეს ყველაფერი“.

ქ-ნი მაგდა ლატარიამ ბევრ საინტერესო, საყვარელ ადამიანთან შეახვედრა და დააკავშირა. ყველაზე დიდი სიმდიდრე მისთვის არის ადამიანების შექენა, რომლის ბრწყინვალე საშუალება იმ პერიოდში ჰქონდა. დღესაც ახსოვს ხალხს ის დრო და ახლაც ბევრი ეუბნება, შენ ის მაგდა აღარა ხარ, დღესაც ხომ არის ლატარიები, რატომ არ მონაწილეობო.

იზოლდა რუსაძე



სურათზე: ქ-ნი მაგდა ჯიქია გათამაშება „სოჯახო ლოტოში“ ელოდება მორიგ მოგებას.



სურათზე: გაზეთი „ასავალ-დასავალი“ წერს ქ-ნი მაგდას შესახებ.

ქალბატონ ელიაოს, ელოს...



ეს სტრიქონები იმ დღიდან მავალადაა, რაც სამუდამოდ დატოვე ამერი... მინდოდა ლამაზად დაგმედიოდა... შეძლოდა მეთქვა გამოსათხოვარი... გამიჭრდა და ვერ შევძელი ფურცელზე

გადამეტანა სათქმელი იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ორ ათეულ წელზე მეტი უნივერსიტეტის სასიკეთო საქმის სამსახურში გაატარა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ის ახლა იწოდება, მეტად გალავნებულია ლამაზი, პირველი-ნიერი ქალბატონებით, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ქალბატონი ელიაოს ონიანი ბრძანდებოდა.

მასხენდება და დაუვიწყარია მისი სიარულის განსაკუთრებული მანერა: თავაწეული, მხარზე ჩანთაგადაკიდებული, ზედმეტი კოპწიად, გემოვნებით შემოსილი, ტანადი, ქათქათა პირისხის ქალბატონი, რომელიც ფრთხილი ნაბიჯებით აივლიდა მესამე სასწავლო კორპუსის კიბეებს და თავის სამუშაო ადგილს მიასურებდა, სადაც საკმაოდ ფასობდა მისი რჩევა-დარბევა.

ამის საფუძველს იძლეოდა ქალბატონი ელიაოს ონიანის მიერ განვლილი შრომითი საქმიანობის გზა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასრულებისთანავე ქალბატონი ელიაოს, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, დაინიშნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საგემომო-საწარმოო განყოფილებაში ეკონომისტად, საგემო განყოფილების უფროსად. ხანგრძლივი იყო მისი შრომითი საქმიანობა #2 საგზაო-სამშენებლო ტრესტის საგემო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის, მთავარი ეკონომისტის თანამდებობებზე. ტრესტის ლიკვიდაციის შემდეგ უკვე საგემო-ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების მქონე ქალბატონი ელიაოს სათავეში უდგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგემოსა-საღრმისეული სამსახურს. პარალელურად

სასწავლო პროცესშიც იყო ჩართული.

ყოველივე ზემოთაღნიშნულს ქალბატონი ელიაოს კარგად უთავსებდა სანიმუშო მეუღლის, დედისა და ბებულის მეტად საპატიო მოვალებებს, შეუდარებელია მისი ამაგი უმცროსი დედამამიშვილების მიმართ, რომელთა პირველი ნაბიჯები ქუთაისში უშუალოდ ქალბატონი ელიაოს ონიანის ოჯახთან იყო დაკავშირებული.

ასე რომ, დიდი შრომა და ჭირგამოვლილი ქალბატონი ელიაოს ბოლო წუთამდე იყო ჩართული სიცოცხლის საერთო ფერხულში, მხოლოდ ცოტა ხანს ამოისუნთქა, შეისვენა და თავისი საყვარელი უნივერსიტეტის მონატრებაში განგვერდია.

შვიდობით ელო, ქალბატონი ელიაოს...

პატივისცემითა და მოკრძალებით
მადონა ნიყარაძე

მარად ათილმოსაგონარი მზესავით ნათელი პიროვნება



2018 წლის ოქტომბერში შესრულდა ცნობილი ქართველი მეცნიერ-გეოგრაფის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ გრიგოლ(გრიშა) სერგოს ძე დევედარიანის დაბადებიდან 110 წლისთავი. იგი დაიბადა 1908 წლის 8 ოქტომბერს დაბა ხარაგაულში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა და სპეციალური კურსების გაკლის შემდეგ მუშაობა დაიწყო აქვე მასწავლებლად. 1930 წელს ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობაზე. 1933 წელს გადაიყვანეს მოსკოვის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე ფიზიკური გეოგრაფიის განხრით. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული სპეციალობა და მუშაობა დაიწყო თსუ გეოგრაფიის კათედრაზე. 1940 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით გადაიყვანეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე, სადაც იმუშავა ჯერ დეკანის (10 წელი), შემდეგ კათედრის გამგის თანამდებობაზე ათი წელი. სულ ქუთაისში იმდღეაწევა 20 წელი. 1960 წლიდან კვლავ თსუ-ში იქნა გადაყვანილი. 1962 წლის სექტემბერში თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის კანდიდატის ასარჩევ ბიულეტენში 2 კანდიდატურა იყო შეტანილი. ხალხმა ორივე კანდიდატურა გადაშალა და ბიულეტენში ჩაწერეს გრ. დევედარიანი, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული დეკანად. იგი იღვწავს ათი წელი, როგორც ლექტორმა კი სიცოცხლის ბოლომდე. დეკანობისას მან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თბილისსა და ქუთაისში წარმატებული მუშაობის გამო მას მინიჭებული ჰქონდა სახალხო განათების წარჩინებული მუშაკის საპატიო წოდება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი. ასე რომ, ორივე უმაღლეს სასწავლებელში ნაყოფიერი და უძმკველი პედაგოგიური, სამეცნიერო და ხელმძღვანელ მუშაკად მოღვაწეობით სახელი და დიდება მოიხვეჭა, რაც მის ჩინებულ ადამიანობაზე ღაღადებს და სიცოცხლეშივე დიდად კვარცხლბეკზე-ოლიმპზე ყოფნის ტოლფასია. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ნარე, ფაქტია, რომ ბატონმა გრიგოლმა თავისი მოკრძალებული (ფასეული) წვლილი შეიტანა ქართული ისტორიის ისტორიაში.

ბატონმა გრიგოლმა მეცნიერებაში იმუშავა შემდეგი მიმართულებით: 1. გეომორფოლოგია, 2. პალეოგეოგრაფია, 3. კარსტოლოგია, 4. სპელეოლოგია, 5. ფიზიკური გეოგრაფია, 6. ლანდშაფტმცოდნეობა და ყველაფერი ფასეული სიტყვა თქვა. გამოაქვეყნა 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოირჩევა მეცნიერული ხილვით, პრობლემატიკის მრავალფეროვნებით, ლაკონურობით და აქტუალურობით. მისი კვლევის არაერთი მიმართულება დასავლეთ საქართველოს: იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, რაჭის, ლეჩხუმს. ამ რეგიონების ღრმა მეცნიერული შესწავლით გამოავლინა და გადაჭრა ზემოაღნიშნული მეცნიერული მიმართულებების მიხედვით რთული გეოგრაფიული პრობლემური საკითხები, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევს და წარმატებით იყენებენ ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა ერის მეცნიერები. მან, როგორც თანაავტორმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს გეომორფოლოგიის ფუნდამენტალური წიგნის (609 გვ.) შექმნაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1971 წელს. პროფ. გრ. დევედარიანის საკანდიდატო დისერტაციით (1947წ.). სამეგრელოს ბორცვიანი ვაკის გეომორფოლოგია და მომდევნო შრომები: ლენუციური ზედაპირები (1954), კოლხეთის ბარის მდინარეთა ქსელის მეთიხეული ისტორიის საკითხისათვის (1955), ეპიროგენეტიკური მოძრაობა და მისი როლი დასავლეთ საქართველოს ლეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბებაში (1955), ტექტონიკისა და რელიეფის ურთიერთობის მაგალითები დას. საქართველოს დარეჟისაში (1956), ოკრიბის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის (1963), ზემო იმერეთის პლატოს მოსწორებული ზედაპირები (1965) და სხვა, ისეთებია, რომლებშიც გადაწყვეტილი გეომორფოლოგიური, პალეოგეოგრაფიული საკითხები ამომწურავად არის მოცემული და ითვლება როგორც ფასეული სიტყვა მეცნიერებაში. ამას ერთხმად ადასტურებენ და იყენებენ მომდევნო დროის მკვლევარები. ყოველივე ეს ბატონ გრიგოლის, როგორც სამაგალითო მეცნიერის დიდ დაბაზონზე მეტყველებს. ახლა სხვა მხარეა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ყოფნისას იგი იყო საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ხაზით ქუთაისის ფილიალის თავჯდომარე, რასაც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე დიდი შემართებით უძღვებოდა. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ კათედრის წევრები და მთელი დასავლეთ საქართველოს (გარდა აჭარა-აფხაზეთისა) გეოგრაფიის მასწავლებლები. გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებზე (თვეში ერთხელ) იკითხებოდა საჯარო მაცნობიერებელი აქტუალური საკითხები, რითაც კეთდებოდა დიდი ეროვნული საქმე. თვით მასწავლებლებიც და კათედრის წევრები, მოწვეული ექიმები (სამედიცინო გეოგრაფიის პრობლემებზე) კითხულობდნენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებზე ლექციებს. საზოგადოების წევრებისათვის გარდა საჯარო სხდომებისა ტარდებოდა საქართველოს მასშტაბით გეოგრაფიული ექსკურსიები, რომელსაც უშუალოდ

ბატონი გრიგოლი გვემძღვა და ატარებდა. ამ ექსკურსიებზე გეოგრაფიის მასწავლებლები სწავლობდნენ ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებს და საერთოდ, გარემომცველი ბუნების „კითხვის“ ტექნიკას, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ გაკვეთილების გადაცემისას.

ბატონი გრიგოლი 83 წლის ასაკში წავიდა „ტურფასა საბადნაროდან“, მაგრამ დატოვა წარუშლელი კვალი და მზესავით ნათელი სახელი. ამჯერად მასზე საუბარი შეუქმნული ეტიუდის სახით მიწა შემდეგი სიტყვებით გამოვხატო: 1. გრიგოლ დევედარიანი როგორც ადამიანი, დიოგენის ფანითი საქმებით ადამიანის მოთხოვნებს ზუსტად პასუხობდა (აკმაყოფილებდა); იყო ნათელი შუბლის, კეთილი გულის, ყოველდღე უშუალო, უდაბლომატო, ალაღ-მართალი, საიმედო, ერთგული, უშურველი, არასოდეს არ გიჟალატებდა, თვალმდახუჭული ენდობოდი, კეთილ გზაზე გაგიყვანდა, რაც იშვიათობაა ამ ცოდვილიან და ცბიერებით გაუღწეობლ დედამწავს;

2. როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგი-ლექტორი, ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე კითხულობდა ლექციებს პირველყოფილსა სტუდენტებთან და ნებისმიერ აუდიტორიაში-ლექტორიუმში, გეოგრაფიულ საზოგადოებაში პედაგოგებთან და სხვა რანგის სპეციალისტებთან (უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე). გეოგრაფიის სპეციალისტის სტუდენტებს და პირადად მე მიკითხავდა კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკურ გეოგრაფიას, საქართველოს გეომორფოლოგიას, მღვიმეთმცოდნეობას. თავისი მაღალი აკადემიური დონით და გადაცემის ოსტატობით ყველას ხიბლავდა მისი ლექციები, რამეთუ სიღრმისეულად ესმოდა და მეცნიერულად აანალიზებდა ყველა ლექციას უხვი, საინტერესო ფაქტობრივი მასალის მოტანით. ასე, რომ სტუდენტთა ცოდნის კოლორიტული მშენებელი-დიდოსტატი იყო.

3. გრიგოლი, როგორც მკვლევარი მეცნიერი, ჰქონდა მეცნიერული პრობლემების განჭვრეტის, ღრმად წვდომისა და ანალიზის საუკეთესო უნარი. სიღრმისეულად იკვლევდა მეტწილად საქართველოს გეომორფოლოგიას, ფიზიკური გეოგრაფიის, კარსტოლოგიის, სპელეოლოგიის პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ემყარებოდა როგორც ველზე მოპოვებული, ისე ლიტერატურული წყაროების ღრმა მეცნიერულ ანალიზს. ამიტომ იყო რომ მის გამოკვლევებს და გამოქვეყნებულ შრომებს დიდ ანგარიშს უწევდნენ და იყენებდნენ ცნობილ მეცნიერები (ქართველები, რუსები და სხვა ერის მეცნიერები) ავტორიტეტული მკვლევარები). მისი სამეცნიერო პროდუქცია აისახა 200-მდე გამოქვეყნებულ შრომაში.

4. გრიგოლი, როგორც ველის კითხვის დიდოსტატი, სტუდენტთა სასწავლო-საველე პრაქტიკის უცვლელი ხელმძღვანელი. სოცრად ორიგინალური და სიღრმისეული მკვლევარი იყო და გაწაფული გახლდათ საველე მუშაობაში. გააჩნდა პალეოგეოგრაფიული წარმოსახვის არაჩვეულებრივი უნარი, უსმინელი მას და ისეთი შთაბეჭდილება გრძებოდა, თითქოს ეს ზღაპრული პიროვნება თავისი თვალთ ხედავდა მილიონი წლების ლაბირინთებში მიმდინარე პალეოგეოგრაფიულ პროცესებს და

დღეს ჩვენთან არის, როგორც ცოცხალი მატინე. ველის კითხვის საქმეში თუ რაიმე ცოდნა გამაჩნია სტუდენტობიდან მოყოლებული, მისი წყალობაა, მომდევნო ეტაპზე კი ლეკან მარუ-აშვილის.

5. გრიგოლი, როგორც ხელმძღვანელი მუშაკი, თითქმის ოთხი ათეული წელი მუშაობდა ორთავე უმაღლეს სასწავლებელში დეკანის, კათედრის გამგისა და გეოგრაფიული საზოგადოების თავჯდომარის თანამდებობებზე. გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, დაკისრებული საქმის ღრმა ცოდნით, უბრალოდ, პრინციპულობით, უძმკველობით; აქ ნიშანდობლივი ისაა, რომ მას თანამდებობა კი არ ამშვენებდა და აღამაზებდა, პირაქით, იგი თავისი ადამიანური ღირსებებით თვითონ ამკობდა დაკავებულ თანამდებობას, რაც იშვიათობას წარმოადგენს;

6. გრიგოლი, როგორც ოჯახის ხელმძღვანელი. როგორც ადამის მოდგმის დიდად წარმომადგენელი, შექმნა სამაგალითო მეხმატკბილეული ოჯახი. იყო არაჩვეულებრივი მეუღლე ქალბატონი ლილია ჯონხაძის, მოსიყვარულე მზრუნველი მამა ქალბატონ ფლორის, დიდებული ბაბუა ქალბატონ მაიასი, და ჩინებული სამამო ბატონ დავით მაჭავარიანის. მისი ძვირფასი ოჯახის შემკვიდრებობა და მრავალრიცხოვანი აღზრდილი სტუდენტობა დღეს-დღეობითაც სახელოვნად იღწვიან ერისა და ქვეყნის საკეთილდღეობა! შეამაყვება ის, რომ ბატონი გრიგოლის აღზრდილი ვარ. იგი მე და ჩემ სტუდენტ-კოლეგებს მშობლიური მზრუნველობით, სიბოთით და სიყვარულით გვეფერებოდა და გვზრდიდა. მე პირადად დიდად ვარ დავალებული ბატონ გრიგოლისადმი. იგი გახლდათ ჩემი სამაგალითო, აკადემიურად ძლიერი სამართლიანი ლექტორი, საკურსო შრომების ხელმძღვანელი საკანდიდატო დისერტაციის შემფასებელი, სწორ და საიმედო გზაზე დამყენებელი; ერთი სიტყვით თუ ჩემში რაიმე კარგია, ყველა მისი დამსახურებაა, ამიტომაც იგი მარადკეთილმოსაგონარი დედაპირის ტოლფასი პიროვნებაა; შთამბეჭდავია ჩემთვის მისი ნათელი შუბლი, კეთილი გული, დიდი ამაგი, ყოველი სიტყვის ფასი და გადაღმეული ნაბიჯებიც კი. და დემოს ვევედრები მისი სულისა და სახელის მარადუკვდავებაში ყოფნაზე! მასთან გამოთხოვებისას, მუხათავკერძის სასაფლაოზე სიტყვა მომცეს, რომელიც ზეპირად ვთქვი, ვხედავ ირგვლივ მყოფი ადამიანები როგორ დღერდნენ ცრემლებს და მადლობის ნიშნად თავს მიქნევდნენ! მაგრამ ვაი, რომ ამას ჩემი საყვარელი და სათაყვანებელი ლექტორი ბატონი გრიგოლი ვეღარ იხმენდა და ხედავდა! იგი უკვე მარადისობის საკუთრებაა, პერსონაჟი და სამოთხის ბინადარი იყო!

ასე რომ, ადამის მოდგმის ისტორიაში ბატონი გრიგოლი თავისი ყველა ადამიანური წახნაგით შექმნილი პიროვნება გახლდათ, რომელიც ამკობდა და აღამაზებდა არა მარტო თბილის-ქუთაისის უნივერსიტეტებს, არამედ სრულად საქართველოს!

მარად კეთილი მოგონება და არ დავიწყებ მზესავით ნათელ მის უკვდავ სახელს.

პროფ. ოთარ ჩხეიძე
გეოგრაფიის დეპარტამენტი

ბაო-ქლარჯეთის დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის და სამეცნიერო ხონჯარონის

ბაო-ქლარჯეთი – ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ოთხ საუკუნეზე მეტია თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია. შესაბამისად, იქაურ ქართველებს უცხო ენობრივ და სახელმწიფოებრივ ველში უხდებათ ცხოვრება, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათს ცნობიერებასა თუ ყოფიერებაზე. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი დაშორებისა, იქაურმა ქართველებმა საკმაოდ კარგად შეინარჩუნეს ქართული იდენტობა, მშობლიური ენა და კულტურა.

ამჟამად საქართველო-თურქეთის შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიზრუნოთ იქაური ქართული კულტურის ძეგლებისა და ქართული ენის, როგორც ავტოქთონი მოსახლეობის ენის, შესანარჩუნებლად. ეს არის ჩვენი სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის მიზანიც.

2018 წლის 8 აგვისტოდან 17 აგვისტომდე ბაოსა და იმერხევში მოეწყო დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის III კურსის სტუდენტები; აგრეთვე ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტები. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ პროფ. ტარიელ ფუტყარაძე და ასოც. პროფ. ეკა დადიანი.

დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის მიზანი იყო: ბაო-ქლარჯეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა, მათი მეტყველების, ეთნოგრაფიული ყოფის, წეს-ჩვეულებების, ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება, ჩაწერა-დოკუმენტირება ციფრული აპარატურით (ვიდეო-აუდიო-ფოტომახასილის მოპოვება); იქ არსებული ქართული სიწმინდეებისა და ციხე-ნაგებობების მონახულება... მოპოვებულ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერული, ისე ეროვნული თვალსაზრისით. ექსპედიციის მასალები ინახება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიცია განხორციელდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქალაქ ქუთაისის მერიისა და ცალკეული მუნიციპალიტეტების (ჩხოროწყუს, მარტვილის) ფინანსური ხელშეწყობით.

დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის ფარგლებში ვიმუშავეთ შემდეგ სოფლებში: იმერხევი; იფრევილი, ქოქლიეთი, იმნიეთი, ივეთი, წყალსიმერი, უსტამისი, ზიოსი, ბაზირეთი; ბაო: ხევაი, ქვაბი, ბაღი. დავათვალიერეთ: ტბეთი,

ხანძია, არტანუჯი, დოღისყანა, იშხანი, ბანა... შავშეთის, თამარის, წყეთის ციხეები.

ბაო-ქლარჯეთის ექსპედიციის შესახებ სტუდენტები ემოციურად მოგვითხრობენ:

თონა ჯალაღონა: ბაო-ქლარჯეთი – ამ სიტყვის გაგონებისას გული სითბოთი და სიყვარულით მეკვება, თუმცა ამავდროულად ძალიან დიდ ტკივილს განვიცდი. ბაო-ქლარჯეთში გატარებული დღეები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იქცა. მიჭირს სრულყოფილად გადმოვიცე ის ემოცია და შთაბეჭდილება, რაც ექსპედიციაში ყოფნისას განვიცადე. სასიამოვნო და ამადლეველია იქაურ ქართველებთან შეხვედრა, ადამიანებთან, რომელთა თვალშიც საქართველოს წარსული ისახება. იქაური ქართველების მეტყველებას სხვა ხიბლი აქვს, რომელიც სამარადისოდ გაგვკვება ცხოვრების გზაზე. აქ შევხვდით ადამიანებს, რომელთაც საკუთარი ისტორია, წარსული ღრმად აქვთ გამჯდარი და საიამოვნო აღნიშნავენ „გურჯულ“ ფესვებს. გვეგებობდნენ, გვიდილობდნენ ქართული სტუმართმოყვარეობით. ტკივილად მახსენდება ჩვენი მასპინძლის მეგობარ დოღისყანაში სიტყვები: „გულზე ვარდი, ზურგზე ყაყაჩო გადამეკვრება, რომ გაგიგებ გურჯაბი მოდიანო“. საოცრად ამადლეველია ბაო-ქლარჯეთის ციხე-ტაძრების ხილვა, რომელთაც ატყვიათ ჩვენი წინაპრების დიადი ხელი, გასაოცარია ხანძის, ტბეთის, ბანას ხილვა, რომლებიც, ქართულ წირვა-ლოცვას მივიწვევებულნი, მაინც ასე ამყად დგანან და შეხებისას თითქოს გლოცავენ. ამ ტაძრების ხილვის დროს კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ამ ისტორიული ძეგლების ამგები ერი არასოდეს გადამშენდება. ყოველი ადამიანი ფიქრობს ხოლმე ამქვეყნიურ ბედნიერებაზე. ჩემი აზრით, ბედნიერებაა ნახო, გაეცნო, შეისწავლო უდიდესი ისტორიის მქონე ერის მეტყველება და კულტურა; ბედნიერება ქართველობაა, მით უფრო, თუ მას ემსახურები და მცირე წვლილი მაინც შეგაქვს მის გადარჩენაში! უპირველესად მაღლობა მინდა ვუთხრა ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ექსპედიციის ხემძღვანელებს. მათი საშუალებით შევძელი უკეთ შემეცნო ჩვენი ისტორია, ქართული ისტორიული ტრადიციების გადარჩენის აუცილებლობა! განსაკუთრებულ მაღლობას ვუხდით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ დათო გოგუას, რომელმაც ფინანსური დახმარება გამიწია და ამით სურვილი რეალურად მიქცია.

ცაგო გურჯაძე: ყოველთვის მეგონა, როცა ჩემი ქვეყნის საზღვარს გავცდებ-



ბოდი, რაღაც განსაკუთრებული გრძნობა მექნებოდა. სინამდვილეში კი ვერც ვიგრძენი, თუ საქართველო დავტოვე. საზღვარს იქით უფრო მეტად ლამაზი თუ არა, საზღვარს აქეთ დარჩენილი საქართველოს გაგრძელება მაინც დამხვდა. გაცეკროდი სივრცეებს და თავიდანვე ვგრძნობდი, ენით აღუწერელი ათი დღე მელიდა წინ. ყოველი დღის დასრულების შემდეგ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ იქაურობის დატოვება გამიჭირდებოდა. გულს მტკენდა იმის გააზრება, რომ ხანძისა, იშხანს, ბანას და სხვას კიდევ ერთი წელი უნდა შეენახა გურჯაბის ნატერფალი, იმ იმედით, რომ ქარისგან ნახევრად წაშლილ კვალს ისევ შევხვდებოდა და დაამჩნევდა ახალ, უფრო ღრმა ნატერფალს გურჯი გოგობიჭები. როცა ბაო-ქლარჯეთის საუკუნოვანი ტაძრებს თუ ციხეებს ვუყურებდი, მახსენდებოდა ელიფ შაფაქის სიტყვები: „იყო დღეები, როცა ბუმბულივით მსუბუქი და უწონო გამხდარვარ და ლამის ცას ავწვდომივარ, მაგრამ გამომივიღია ისეთი წუთებიც, როცა დედამიწის ვეღვალზე ღრმა შრეებში ჩამძვრალი, მძლავრი მუხის ან სურნელოვანი წაბლის ძირში დაფლულ, მიწის სუნით გაჟღენთილ ქვასავით უსულოდ ვგდებულვარ“. ყურში სასიამოვნოდ ჩამესმის ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები: „თუ გურჯაჯა ვიტყვი, მეც გიმიხარდებაო“. იმერხევიდან ბაოში გადასვლა ძალიან ემოციური იყო. სამწუხაროდ, ბაოელებს იმერხეველებისაგან განსხვავებით საუბარი შედარებით უჭირთ. შთაბეჭდავი იყო არტანუჯის ციხის ემოციები, რომლისთვისაც დიდი მადლობა ბატონ ტარიელს, რომელმაც მეც მომცა საშუალება გამეგლო „ტარიელისეული გზა“ (ასე შევარქვე არტანუჯის ციხიდან კლდეებზე ასასვლელ გზას). მოგვიღობი ხანძიდან და რაღაც ძალიან მტკიოდა, თითქოს სხეულის რაღაც ნაწილი წამართვეს, დაიტოვეს, მიითვისეს. ეს ის ტკივილია, რომელიც დროის გასვლის შემდეგ არ ყუჩდება, პირიქით, უფრო მძაფრდება და ნიავიდან ქარიშხალში გადადის და ცხოვრებას ამ ქარიშხალივით ქაოსურ ტკივილითან ერთად აგრძელებს, იმ იმედით, რომ დადგება დრო, ქარიშხალს ისევ ნიავე შეცვლის და ნელ-ნელა ვიხილავთ შხიან, ალისფერ დღეებს. უღრმესი მადლობა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატს, ექსპედიციის ხელმძღვანელებს, წევრებს, რომლებთან ერთადაც ფაქტობრივად ვიცხოვრე ათი დღე, ერთად დავაგროვეთ მოგონებები, რომლებიც მუდამ შემასხოვრება.

თამარ გურჯაძე: ზოგადად, მოგზაურობიდან არავინ ბრუნდება ისეთი, როგორიც იყო ადრე... მართლაც, მოგზაურობა სულს ამდიდრებს, გულს ახალი შეგრძობებით ავსებს და თვალსაწიერს აფართოებს. მოგზაურობა ბედნიერებაა; თან რა

შევირება მოგზაურობას იქ, სადაც შენი წინაპრების ნაკვალევი, შენი ისტორიაა, შენი წარსული დიდების ნაშთები... პირველად მოვხვდი ბაო-ქლარჯეთის სამეცნიერო ექსპედიციაში და, ასე მგონია, არა უკანასკნელად. სანახავე განა ბევრი არ არის ამ დალოცვილ მიწაზე? შოფელ-სოფელ, კლდე-კლდე, მთა-მთა დავდიოდით მე და ჩემი მეგობრები. ეს იყო დაუვიწყარი შეგრძნებების, ემოციების, სევდანარევი სიხარულის 10 დღე მხარეში, რომელიც გტკივა და თანაც გულზე მალამოდ გედება. ჩვენიც, ექსპედიციის წევრებისათვის, ძალიან ემოციური იყო იქაური სიწმინდეების მოლოცვა და „ჩვენებურებთან“ კონტაქტი. შთაბეჭდავი იყო ჩვენებურების სტუმართმოყვარეობა. ღმერთმა ქნას, საზღვრები კარგი მეგობრობით მაინც მოშლილიყოს!...

დოდო ჩანჩიძე: ალბათ მთელი ცხოვრებაც არ მეყოფა, რომ ბაო-ქლარჯეთში განცილი ემოცია გამოვხატო; ბედნიერი ათი დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. პირველი დღე, როდესაც მოვინახულეთ ტბეთის ეკლესიის ნანგრევები, დაფარული ხავსითა და ეკალ-ბარდებით, მამინ შეგვეფეთა პირველი სევედა. ვხვდებოდი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, თუმცა მაინც უცაბედი აღმოჩნდა პირველი შეჯახება რეალობასთან. ვეღვალზე შთაბეჭდავი ჩემთვის იყო არტანუჯზე ასვლა და ხანძისის მელიდურად მდგარი ტაძარი. არტანუჯი, ცასთან მიახლოებული უღამახესი ადგილი. ვიწრო საცაღვეხო ბილიკებით მიმავალ გზაზე მივაბიჯებდით სიხარულით და გვიპყრობდა სევდა, ვინაიდან ადგილებში, სადაც ჩვენს წინაპრებს ისარი უსვრიათ კლდეზე ამობობებული მტრისათვის, სადაც დამეგები უთენებიათ მეციხოვნეებს და უამრავ მათგანს სიცოცხლე შეუწირავს, დღეს იმ გადაბალებულ ადგილებზე თურქული დროშა ფრიალებს. ხანძია - მიმავალი გზა ბილიკს დამსგავსებია, ცოტაც და კლდეში გადაიჩნება, მაგრამ შიში არ გვაპყრობს, პირიქით, მიაბიჯებ მედიდურად და ხედავ მარტოსულად კედლებს - და გუმბათშემოძარცვულ ამყად მდგარ ტაძარს, რომელიც თითქოსდა ცდილობს თავისი ელვარების დაბრუნებას. კედლები თითქოს ცეცხლითაა გამურული, თუმცა ცეცხლი რას დააკლებდა დიდებულ და უნივერსალურ არქიტექტურას, რომელიც თავის სათქმელს მაინც ამბობს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

თამარ მილორაჯა: ბაო-ქლარჯეთში გატარებული წუთები დაუვიწყარი და განსაკუთრებულია. აქ რამდენიმე ადამიანური გრძნობა ერთობლივად იყრის თავს და ვერც კი ახერხებ მათ დაშორისობას. გიხარია, გვამაყვება და განიცდი, რომ



ბაო-ხლარჯეთის დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიცია და სამეცნიერო ჯონგრაფია

დასაწყისი მე-11 გვ.



შენს დედასამშობლოს კდევე ერთი საუკეთესო შვილი მოსწევტია. ყოველი ფენის ნაბიჯზე გრძობ წინაპართა ძალას, ხედები, რომ შენც მოვალე ხარ, რამე ღირებული შემატო შენს ქვეყანას. მე ბედნიერი ვარ, რომ თანამონაწილე გავხდი იმ დიდი საქმის, რომელსაც ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენ, სტუდენტებს, საშუალება გვაქვს, ვემსახურეთ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ საშვილიშვილო საქმეს, რომელიც დღითიდღე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ექსპედიციის ათმა დღემ ახალი ენერგია მომცა, ახალი მიზნები და ოცნებები გამიჩინა, ახალი მეგობრები შემიძინა, რომელთა შორის დიდ სულიერ კავშირს ვგრძნობ და, რაც მთავარია, წინაპართა ნაბრძოლ, ნატანჯ, მაგრამ მაღლიან, მიწა-წყალთან მოფერებისა და ზიარების საშუალება მომცა.

მაია ჯავთარაძე: ძალიან ბევრი ემოცია, ურთიერთსაპირისპირო გრძობები იყრის თავს, როცა იმ მიწაზე შეაბიჯებ, რომელიც მუდამ შენი გვერდია; არ გქონდა გაცნობიერებული, რომ ის საქართველოს საზღვრებში აღარ არის; ვერ წარმოგიდგინია, ან არ გინდა წარმოგიდგინო, რომ ხანძმა საქართველოს ტერიტორიას აღარ ეკუთვნის, ხოლო მოსახლეობა გათურქების გზას ადგას... თუმცა საოცარი გრძობაა, როცა გულებიან, რომ გული, სისხლი ერთი გვაქვს. თითქოს გულში გრძობების კორიანტული გედვრება, ტკბილი და საამო, თან სევდიანიც... არასოდეს დამავიწყდება ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დასამახსოვრებელი და ბევრის მომცემი იყო ის, თით-

ქოს უფრო მეტად გავიზარდე, უფრო მეტად შემიყვარდა ჩვენი სამშობლო, უფრო მეტად მომიხდა, რომ არასოდეს დაგვივიწყოს გრიგოლ ხანძთელის საქართველომ!..

ფიქრია ჭანტურია: ფიქრით ისევ თქვენთან, ისევ.../ჭმუნვა არ გამქრალა კვლავაც/ალბათ იღლებოდა ისევ/როგორც უსასოთა დარად -/მათი ნაგლეგები რაში/ბათუმს ვერ მომდგარი თითქმის.../წლები გადიდა რაში?.../ცალი სიყვარულის შიშით./ ჩვენ რომ ვესალმებით ჩვენებს/ორთავთ შეგვეკვრება სუნთქვა./მათი სიტყვებია წრფელი/ბაგუშის ცრემლებით სუფთა./ახლა საყ-



ვეღურის თვალებს /კურცხალს მოაშორებს ნენე/ ჩვენ რომ ჩავვიხუტა გულში./ჩვენ რომ ჩავიხუტებთ მერეც.../ექვთ მოვუყვები ჭოროხს.../ყველას მოვუყვები თქვენზე/ორპირ სიყვარულში გრძობით, ორგზის „შემცვიენებულ“ ჩემზეც.

ტაო-კლარჯეთის დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექ-

სპედიციის შედეგებს მიეძღვნა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 2018 წლის 23 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა. კონფერენცია ორ სხდომად ჩატარდა. წავითხუღ იქნა შემდეგი მოხსენებები: თ.მილორავა – ე/ი ხმოვნათმონაცვლეობა ზმნურ ფორმებში იმერხეული და ტაოური მასალის მიხედვით; ფ.ჭანტურია – მეშველზმნიან ფორმათა წარმოება ტაოურ დიალექტში; ს.თურმანიძე – ტაო-კლარჯეთში გავრცელებული ზედმეტსახელები; მ.ქავთარაძე – ტაოს ტოპონიმია; თ.გურჯიძე – იმერხევის მიკროტოპონიმია; ც.გურჯიძე – ტაოს ძველი გზები და მიმდებარე ტოპონიმია; დ.შანიძე – ხმოვანთა ცვლილებები ქართული ენის ტაოურ დიალექტში; ჯ.წიქარიშვილი – გრძელი ხმოვნებისა და სონანტების უმარცვლო ალოფონების საკითხისათვის ქართულში (ტაო-კლარჯეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით); თ.მილორავა – მოთხრობითი ბრუნვა იმერხეულში (მორფო-სინტაქსური ანალიზი); თ.ჯალაღონია – ფრაზეოლოგიური გამონათქვამები იმერხეული მეტყველების მიხედვით; ს.სხულუხია – ამინდისა და ციური სხეულების აღ-

მნიშვნელი ლექსიკა იმერხეულსა და ტაოურში.
შესვენებისას ნაჩვენები იყო ექსპედიციის ფოტო-ვიდეოკოლაჟი. კონფერენციის ბოლოს მომხსენებლებს გადაეცათ სერტიფიკატი და სამახსოვრო საჩუქრები.

ეკა დადიანი
აწუ ქართული ენის მიმართულების ასოცირებული პროფესორი



შახვედრა საპარტიო-პროცესში ნიკოლეიშვილის, როგორც ლიტერატურათმცოდნის ინტერესების მრავალმხრივობაზე, ფართო ერუდიციაზე, პროფესორმა ნინო მაძარდაშვილმა კი ყურადღება გაამახვილა მეცნიერის აზროვნებისა და წერის ნათელ სტილზე, აგრეთვე, გამოკვეთა მისი ღვაწლი მიეწეული მწერლების წარმოჩენის საქმეში. ავთანდილ ნიკოლეიშვილს მიესალმა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი დავით შემოქმედელი,

2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს საპარტიო-პროცესში და ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნესთან, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან ავთანდილ ნიკოლეიშვილთან. შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, რომელმაც მეც-

ნიკოლეიშვილის, როგორც ლიტერატურათმცოდნის ინტერესების მრავალმხრივობაზე, ფართო ერუდიციაზე, პროფესორმა ნინო მაძარდაშვილმა კი ყურადღება გაამახვილა მეცნიერის აზროვნებისა და წერის ნათელ სტილზე, აგრეთვე, გამოკვეთა მისი ღვაწლი მიეწეული მწერლების წარმოჩენის საქმეში. ავთანდილ ნიკოლეიშვილს მიესალმა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი დავით შემოქმედელი,



ნიერს მიულოცა საიუბილეო თარიღი და დაახასიათა ავთანდილ ნიკოლეიშვილის, როგორც ღირსეული პიროვნების, მრავალდარგოვანი მკვლევარის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის დამსახურებაზე ისაუბრეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ ყურადღება გაამახვილა ავთანდილ ნიკოლეიშვილის კონცეპტუალური სიახლით აღბეჭდილ ნაშრომებზე, რომლებიც თავის დროზე დიდი გამოხატება იყო საბჭოთა იდეოლოგიზებული ლიტერატურათმცოდნეობის ფონზე. პროფესორმა ლადო მინაშვილმა ისაუბრა ავთანდილ

რომელმაც საზოგადოების სახელით მეცნიერს დავით გურამიშვილის სახელობის პრემია გადასცა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველო: ახია თუ ევროპა (ქართველ მწერალთა თვალთახედვით)“. მეცნიერმა მიმოიხილა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში გამოთქმული შეხედულებები ხსენებული საკითხის ირგვლივ და აღნიშნა, რომ ქართველ მწერალთა ნააზრვეი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე დღესაც მრავალი თვალსაზრისით ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას.



მთავარი რედაქტორი **გიგა სოფროია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორმუნალნი **თამარ გუგუჩიანი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პაბარია**

ჩვენი მისამართი: ქ.თბილისი, თბილისი გზის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com